



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო

ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ფონდი

**სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა
ინტერდისციპლინური კონფერენცია
(ქ. თბილისი, 2-3 ნოემბერი, 2017)**

ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
პრეზიდენტის – აკად. გიორგი კვეციტაძის 75 წლისთავსა და
მეცნიერების მსოფლიო დღეს

მასალები

თბილისი
2018

სარედაქციო კოლეგია:

გიორგი სიორიძე (თავმჯდომარე)
მარინე შავლაყაძე (თავმჯდომარის მოადგილე)
ზურაბ ბარათაშვილი (სწავლული მდივანი)
ვლადიმერ ბარამიძე
გიორგი ბერიძე
ლელა გიგლემიანი
ბაგრატ გოდიბაძე
თამაზ დათუნაშვილი
გიორგი ვეშაპიძე
ირაკლი ზაკუტაშვილი
იმედა რუბაშვილი
თამრიკო სუპატაშვილი
ალექსანდრე სხირტლაძე
თენგიზ ტეტუნაშვილი
ლევან ტიელიძე
მარინე ტურაშვილი
ლალი ყრუაშვილი
ანა ჩუტკერაშვილი
ვახტანგ ჭარაია
ლევან ჯიქია

კრებულში დაბეჭდილი მასალების შინაარსსა და სტილზე
პასუხისმგებლები არიან ავტორები.

© საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ISBN 978-9941-8-0363-5

შინაარსი

ჰუმანიტარული მეცნიერებები.....	9
ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის XX საუკუნის დასაწყისში.....	9
<i>ანა დოლიძე</i>	
ქალაქ თბილისის თვითმმართველობა XIX საუკუნეში	11
<i>ბექა გაჩეჩილაძე</i>	
საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისა და ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების ურთიერთობის ისტორიისათვის 1801-1921 წლებში	16
<i>გიორგი ჩუბინიძე</i>	
ეროვნული და რელიგიური იდენტობის საკითხი აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე	18
<i>გოდერძი ბოლქვაძე</i>	
ნადირობა შუა საუკუნეების საქართველოში	20
<i>ნინო კაკალაშვილი</i>	
არქივი როგორც აქტიური მეხსიერების ინსტიტუტი (შსს არქივის მაგალითზე).....	22
<i>ვლადიმერ ლუარსაბიშვილი</i>	
„ქართლის ცხოვრების“ როლი და მნიშვნელობა ნარსულსა და თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში.....	24
<i>რევაზ ცინცაძე</i>	
ფრანგი დიპლომატი გრაფი მარი-ეჟენ მელქიორ დე ვოგი თბილისის შესახებ	26
<i>ოთარ ნიკოლეიშვილი</i>	
ზმნურ ფორმათა ფუნქციურ ელემენტებად ჩამოყალიბების საკითხი კორპუსის ლინგვისტიკის ჩარჩოში	27
<i>მარიამ რუხაძე</i>	

მიმართვის სახელური ფორმები მეგრულსა და ლაზურ ანდაზებში	29
<i>გიორგი ჯღარკავა</i>	
კორპუსის ლინგვისტიკაში გრამატიკალიზაციით წარმოშობილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზა (რაღაც, სადღაც ელემენტების მაგალითზე)	30
<i>მარიამ მათიაშვილი</i>	
ქართული ენისთვის ღირებული პარამეტრები ფონეტიკურ ექსპერტიზაში.....	32
<i>მარიამ ნავაძე</i>	
იაპონური ენის ფერთა სისტემის შესახებ	34
<i>მარიამ რაქვიაშვილი</i>	
სემანტიკა ენის სწავლების პროცესში	36
<i>ნანა ჯანეზაშვილი</i>	
რუბრიკის სახეები თესაურუსში და მათი შედგენის თავისებურებები.....	38
<i>ნათია კენჭიაშვილი</i>	
ზედსართავ სახელთა სემანტიკური ჯგუფები თანამედროვე ქართულ ენაში	40
<i>ელენე ქადაგიშვილი</i>	
ენობრივი კოდის ცვლა კერძო ობიექტთა სახელდების მიხედვით	42
<i>ნინო ზედგენიძე</i>	
„გმირი და ანტიგმირი ანგლოსაქსურ ლიტერატურაში“	44
<i>დალი ჩარექაშვილი</i>	
სიტყვა, როგორც მასალა, გალაკტიონის ხელში	45
<i>გიორგი კახიშვილი</i>	
მუსიკის ფილოსოფიური კონცეფციები	47
<i>სოფიო მოდებაძე</i>	
დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში	49
<i>მარიამ ყაველაშვილი</i>	

კიბერდანაშაული.....	51
<i>ნინო გაგნიძე</i>	
საქორწინო ხელშეკრულება	53
<i>სოფიო კოკია</i>	
ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები	55
<i>მარიამ კურტანიძე</i>	
არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა.....	57
<i>ანა მაისურაძე</i>	
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	59
Digitalisferruginea L. პერიკარპიუმის ფენილეთანოიდური	
გლიკოზიდები.....	59
<i>თამარ კოპალიანი</i>	
ურანგო ტაბლო კალკულუსის გამოყენება სემანტიკურ ქსელში.	63
<i>ლია კურტანიძე</i>	
ქართული ტექსტების ავტომატური ინტელექტუალური	
კლასიფიკაციის მეთოდები და ინსტრუმენტები	64
<i>კონსტანტინე დემურჩივი</i>	
ციფრული კვდომის საფრთხისგან ქართული და აფხაზური ენების	
დაცვის მიზნები და ქართული უნივერსალური ქვიანი კორპუსის	
საცდელი ვერსია.....	66
<i>შალვა მალიძე, დავით კურცხალია, მერაბ ჩიქვინიძე</i>	
სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები	69
კომუნიკაცია და მომსახურება – ეფექტიანი და პასუხისმგებლური	
ადგილობრივი ხელისუფლების შექმნის საფუძველი	69
<i>დავით შამოცი</i>	
ადამიანისული კაპიტალის მნიშვნელობის გავლენა ეკონომიკური	
ზრდის პროცესზე.....	72
<i>მედეა ხარაიძეილი</i>	
ინჟინერია და ტექნოლოგიები.....	75
ბაქტერიული კულტურების ტექნოლოგიური დამუშავება	
„ყინვითი შრობით“	75

ლევან ნეფარიძე, რენატი მერკუზოვი, სალომე გიგაშვილი

აგრარული მეცნიერებები.....	77
ტრიტიკალე (×Triticosecale Wittm & A. Camus) – მომავლის პური	77
თინათინ ეპიტაშვილი	
Humanity	79
Fight for Rebuilding the Autocephaly of Orthodox Apostolic Church of Georgia at the Beginning of the XX Century	79
Ana Dolidze	
The City of Tiflis in the XIX Century	81
Beka Gachechiladze	
The Issue of National and Religious Identity in Achara at the Thres- hold of XIX-XX centuries.....	82
Goderdzi Bolkvadze	
Hunting in Medieval Georgia.....	86
Nino Kakalashvili	
The Archive as an Institution of Active Memory.....	87
(Based on the example of MIA Archive).....	87
Vladimer Luarsabishvili	
The Role and Importance of “The Georgian Chronicles” in the Past and Modern Georgian Society.....	88
Revaz Tsintsadze	
French Diplomat Vicomte Marie-Eugène-Melchior de Vogüé about Tbilisi.....	90
Otar Nikoleishvili	
The Verb Forms Restructuration in Georgian: Functional Elements in a Corpus Linguistics Study	91
Mariam Rukhadze	
The Noun Forms of Address in the Megrelian and Laz Proverbs	93
Giorgi Jgharkava	

Grammaticalization Problems in Corpus-Linguistics and a Way of Solving the Problems (Based in empirical data <i>რაც</i> (Something), <i>სადაც</i> (Somewhere)).....	94
<i>Mariam Matiashvili</i>	
Forensic Phonetics Valuable Parameters in the Georgian Language.....	96
<i>Mariam Navadze</i>	
On the Colours System of Japanese Language.....	97
<i>Mariam Rakviashvili</i>	
Semantics in Process of Learning the Languages.....	99
<i>Nana Janezashvili</i>	
Types of Rubric in Thesaurus and their Peculiarities	101
<i>Natia Kentchiashvili</i>	
Semantic Groups of Adjectives in Modern Georgian.....	102
<i>Elene Kadagishvili</i>	
Linguistic Code Changing According to Objects Naming.....	103
<i>Nino Zedgenidze</i>	
Hero and Antihero in Anglo-Saxon Literature	105
<i>Dali Charekashvili</i>	
Word as Material by Galaktioni	106
<i>Giorgi kakhishvili</i>	
Philosophical Concepts of Music	107
<i>Sophio Modebadze</i>	
Prohibition of Discrimination in Labor Relations	109
<i>Mariam Kavelashvili</i>	
Cybercrime.....	111
<i>Nino Gagnidze</i>	
Marriage Contract.....	113
<i>Sophio Kokaia</i>	
The Scope of Freedom of the Contract	115
<i>Mariam Kurtanidze</i>	
Juvenile Diversion and Mediation Program.....	116

Ana maisuradze

Exact and Natural Sciences 118

Phenyl-ethanoid glycosides of *Digitalis ferruginea* L. pericarpium 118

Tamar Kopaliani, Vazha Nebieridze

Semantic-Web related Application of Unranked Tableaux Calculus
.....121

Lia Kurtanidze

Methods and Tools for Automatic Intellectual Classification of
Georgian Texts122

Konstantin Demurchev

The Trial Version of the Georgian Universal Smart Corpus and Aims
of defense of Georgian and Abkhazian Languages from the Danger
of Digital Extinction124

Shalva Malidze, David Kurtskhalia, Merab Chikvinidze

Social and Economic Sciences 127

The Impact of the Importance of Human Capital on the Economic
Growth Process.....129

Medea Kharashvili

Engineering and Technology 132

Freeze Drying Technology for Bacteria.....132

Levan Neparidze, Renati Merkuzov, Salome Gigashvili

Agrarian Sciences 133

Triticale (\times Triticosecale Wittm & A. Camus) Bread of the Future 133

Tinatin Epatashvili

დანართი 135

საგადასახადო სამართალდარღვევების ასახვა სახელმწიფო
ბიუჯეტში135

ლანა სულაკაძე

თავდაჯერებულობის მნიშვნელობა კარიერის შექმნაში.....138

ქრისტინე ოდიშვილი

ჰუმანიტარული მეცნიერებები

ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის XX საუკუნის დასაწყისში

ანა დოლიძე

ისტორიის მაგისტრი

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ავტოკეფალიის გაუქმება, ბრძოლა ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ავტოკეფალიის აღდგენა, ბრძოლა ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის, ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება

1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს შორის გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთის სამეფო მფარველობაში მიიღო რუსეთის ერთმორწმუნე, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერმა სახელმწიფომ. ამას შედეგად ჯერ ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, შემდეგ კი ავტოკეფალიის გაუქმება მოჰყვა.

ეგზარქოსობის პერიოდში რუსი მოხელეების ანტიქართული საქმიანობის შესახებ ქართველი მოღვაწეები მუდმივად აღნიშნავდნენ თავიანთ მოხსენებებში, თუმცა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ საუბარს ერიდებოდა ყველა, როგორც პოლიტიკური განხილვის საგანს. მაგალითად, როდესაც 1894 წელს დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდა მღვდელ კალისტრატე ცინცაძის წერილი «Автокефалия Грузинской церкви», ეგზარქოსმა ვლადიმერმა დაიბარა მამა დავითი და დაემუქრა: თუ წერილი არ დასრულებულა იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი, ჟურნალსაც დაგიხურავ და შენც საქართველოდან გაგასახლებო.

1905 წელს დასახლებული ნაშრომი საფუძველი გახდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე კვლავ აღძრულიყო საქმე.

თავდაპირველად შეთანხმება თითქოს შედგა: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით გამართულ რუსეთის სინოდის სხდომებზე პროფესორი სოკოლოვი ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით ასაბუთებდა, რომ საქართველოს ეკლესია ნამდვილად ავტოკეფალური იყო და ეს უფლება უნდა დაბრუნებოდა, სხდომის დანარჩენი წევრებიც ეთანხმებოდნენ მას. თბილისში ჩამოსული ეგზარქოსი ნიკოლოზიც მოსახლეობას ჰპირდებოდა ავტოკეფალიის აღდგენას; ეგზარქოსის ძმაც, რომელიც თან ახლდა მას საქართველოში, მიიჩნევდა, რომ საქართველოს ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა ავტოკეფალია, რათა თავიდან აეცილებინათ რუსეთისათვის სამარცხვინო განხეთქილება. იმავედროულად რუსეთის ხელისუფლება ხედავდა, რომ ავტოკეფალიის აღდგენას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაც მოჰყვებოდა. ამიტომ ეს საკითხი, როგორც სეპარატული საშიშროების შემცველი, გადაუჭრელი დარჩა.

ავტოკეფალიის აღდგენის სასტიკი წინააღმდეგი იყო ობერ-პროკურორი ალექსი ობოლენსკი, რომელიც ცდილობდა ქართველებისათვის მხოლოდ ქართველი ეგზარქოსის არსებობის უფლება მიეცა და ამტკიცებდა: ერთ სამეფოში ორი ავტოკეფალური ეკლესია მოუხერხებელია, ეკლესია ერთი უნდა იყოს, როგორც „მრწამსში“ გვინერიაო.

რუსეთის სინოდის წევრები ხვდებოდნენ, რომ ქართველთა სწრაფვას ავტოკეფალიის აღდგენისაკენ ვერ შეაჩერებდნენ და მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება: ქართველი პატრიარქი სვეტიცხოველში უნდა ყოფილიყო, ხოლო რუსი მიტროპოლიტი – თბილისში. მაგრამ რადგან ქართველები თავიანთ აზრზე მტკიცედ იდგნენ და მათთვის მიუღებელი იყო ეს გადაწყვეტილება, 1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებებით ისარგებლეს და 25 (12) მარტს აღდგენილად გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რუსეთის სინოდი უარყოფითად შეხვდა ამ მოვლენას – დაიწყო სანინააღმდეგო ეპისტოლეების გზავნა და პროპაგანდა რუსების მორწმუნე საზოგადოებაში. რის გამოც ქართველებს ამჯერად ბრძოლა უხდებოდათ უკვე აღდგენილი ავტოკეფალიის შენარჩუნებისათვის, რომლის გაუქმებასაც რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება კვლავ ცდილობდა. ეს ხანგრძლივი ბრძოლა დასრულდა

1990 წლის 4 მარტს, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაულალავი ღვაწლის შედეგად კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია.

ქალაქ თბილისის თვითმმართველობა XIX საუკუნეში

ბექა გაჩეჩილაძე

დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თბილისის და, საზოგადოდ, საქართველოს მმართველობის სისტემამ რუსეთის იმპერიის საქართველოში გაბატონების შემდეგ ცვლილებების რამდენიმე ეტაპი განვლო, რომელიც მოიცავდა როგორც აბსოლუტურ, ისე დეცენტრალიზებულ მმართველობას. 1801 წლიდან 1841 წლამდე ხელისუფლება მკაცრად ცენტრალიზებული იყო და თბილისს მართავდა პოლიციის უფროსი, პოლიცმანისტერი, რომელიც იმპერიული ხელისუფლების პირდაპირი აღმასრულებელი იყო. 1841 წლიდან 1864 წლამდე ქალაქს ხმოსანთაგან შემდგარი კრება განაგებდა, თუმცა შეზღუდული შესაძლებლობებით აღჭურვილი, რაც განაპირობებდა კვლავ ვერტიკალურ მმართველობის სისტემას.

ცვლილებები რუსეთში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის მმართველობისას დაიწყო, კერძოდ, ბატონყმობის გაუქმებით (1864 წ.), რასაც მოჰყვა საქალაქო და სათემო თვითმმართველობის განვითარება. 1866 წლის 11 აგვისტოს დებულებით შემოიღეს ასკაციან ხმოსანთა კრება, რომელიც ირჩევდა ქალაქის თავსა და მის წინაშე პასუხისმგებელ 8 აღმასრულებელ წევრს. თუმცა რეალურად ამ რეფორმის ცვლილება 1870 წელს დასრულდა, როდესაც მიიღეს დადგენილება თვითმმართველობის არჩევნებში ქონებრივი ცენზის შემოღების შესახებ. ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გააფართოვა ქალაქის მმართველთა უფლებები, ისინი უკვე აღარ წარმოადგენდნენ ნომინალურ ფიგურებს, რადგან არჩევითობის ფორმა მათ მეტ ლეგიტიმურობას აძლევდა. ეს

ორგანო უფრო გაძლიერდა, რადგან გადანყვეტილებას იღებდნენ ქალაქის მცხოვრებლები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ქონებრივი ცენზის დადგენამ ისედაც გარიყული ჩვეულებრივი მოქალაქეები კიდევ უფრო დააშორა აქტიურ პოლიტიკას. არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო გახდა კონკრეტული შემოსავლის ქონა, რაც მოქალაქეს მისცემდა უფლებას აერჩია ან ყოფილიყო არჩეული ქალაქის ხმოსანთა საბჭოში. ამგვარმა სტრუქტურამ ქალაქის მართვა კვლავ ვინრო წრის პრივილეგიად დატოვა, საზოგადოება კი განზე დარჩა.

1870 წლის 16 ივნისის ცვლილებით ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში დანესებული ქონებრივი ცენზი ითვალისწინებდა სამ ეკონომიკურ საფეხურს: პირველ ერთეულში იგულისხმებოდა მსხვილი ვაჭარ-მრეწველები; მეორე მოიცავდა საშუალო ფენის მოქალაქეებს, ხოლო მესამეში კი წვრილი მესაკუთრეები იყვნენ გაერთიანებულები. „საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა ქალაქთა ეკონომიკურ მდგომარეობას. ქალაქებში იქმნებოდა სამი თანრიგი, ყალიბდებოდა სამი საარჩევნო კრება – მსხვილი, საშუალო შეძლების და წვრილი მესაკუთრეებისა“ (ბენდიანიშვილი, დაუშვილი, ნათმელაძე, 2012).

ამგვარად იყვნენ განაწილებული თბილისი მცხოვრებლები, რომელთაც უფლება ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ თვითმმართველობაში, ეს კი გამორიცხავდა საყოველთაო ჩართულობას, რასაც გაურბოდა ცარისტული რუსეთის მმართველობა.

ის მოქალაქეები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ქონებრივ ცენზს, ირჩევდნენ ქალაქის თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს, სათათბიროს, რომლის რაოდენობასაც ქალაქის სიდიდე განსაზღვრავდა. მათ მოვალეობაში შედიოდა აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევა და ქალაქის შიდა სქმეების მოგვარება. „სათათბირო ირჩევდა თანამდებობის პირებს, ნიშნავდა ჯამაგირებს, ამტკიცებდა ქალაქის ბიუჯეტს, განიხილავდა მსხვილ კომუნალურ მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ა.შ. სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ და აღმასრულებელ ორგანოს, გამგეობას, რომელიც სამი წევრისა და ქალაქის თავისაგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი გემგეობის თავმჯდომარედ ითვლებოდა“ (შველიძე, ადგილობრივი თვითმმარ-

თველობა და ქართველი საზოგადოება (XIX საუკუნის დასასრული XX საუკუნის დასაწყისი), 2015).

მომხდარმა რეფორმამ ქართულ ელიტასა და საზოგადოებაში დიდი იმედი გააჩინა, რომ თბილისის მართვას შეძლებდნენ მისი მოქალაქეები, რაც იმპერიულ მმართველობას შეასუსტებდა და დანერგავდა ალტერნატიულ სისტემას, სადაც მოქალაქეთა ინტერესებს თავად მათ მიერ არჩეული წარმომადგენლები დაიცავდნენ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისი არ იყო სრულად ქართული ქალაქი. არსებობდნენ სხვა ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც ფლობდნენ დიდ ეკონომიკურ დოვლათს. ძირითადად ესენი იყვნენ სომხური ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებიც იმპერიული ხელისუფლებისგან გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ და ქალაქის ხმოსანთა საბჭოში მნიშვნელოვან გავლენას ფლობდნენ. მაგალითად, სომეხ ვაჭარ ა. მატინოვს 1878 წლიდან 13 წლის განმავლობაში ეკავა ქალაქ თბილისის თავის თანამდებობა.

ქართველი ინტელიგენცია განხორციელებულ თვითმმართველობის რეფორმას დადებითად შეხვდა.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო წარმოადგენდა იმპერიის განაპირა მხარეს, ცენტრალური ხელისუფლება არ მიიჩნევდა სწორად, მომხდარიყო არსებული სოფლის ყრილობის გაფართოება და ერობების დანერგვა, რომელიც მოიცავდა მეტ ტერიტორიას, მეტ თავისუფლებასა და მეტ განვითარებას, რაც შესაძლოა გამხდარიყო საქართველოს გათავისუფლების საწყისი იმპერიული ხელისუფლებისგან, ამიტომ რუსეთის იმპერიის არსებობის დროს არ დაინერგა ერობები საქართველოს ტერიტორიაზე.

თვითმმართველი ორგანო „ერობა“ აერთიანებდა წვრილ მმართველ ორგანოებს, როგორც, მაგალითად, იყო „სოფლის ყრილობა“. ის არსებული სისტემის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა, რომელშიც ერთიანდებოდა და განიხილებოდა გუბერნიაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ერობას ჰყავდა საკუთარი საბჭო, რომლის წევრიც იყო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქე, როგორც გლეხები, ისე მემამულეები და ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები (თუ რაიმე დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი კანონის წინაშე და ჩამორ-

თმეული არ ჰქონდა ხმის მიცემის, არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

„ერობის კრებას შეადგენენ სამგვარი დეპუტატები:

- 1) ადგილობრივი მამულის მეპატრონეების ამონარჩევნი
- 2) ქალაქების საზოგადოებისაგან ამორჩეულნი
- 3) გლეხ-კაცების საზოგადოების ამონარჩევნი.

ამორჩეული პირათ შეუძლია იყვეს ყოველი პირი, რომელსაც კი ამორჩევის დროს კენჭი აქვს“ (ნიკოლაძე, 1882).

ერობის მაღალი რგოლის მნიშვნელობა გაცილებით დიდი იყო იმდროინდელ საზოგადოებაში, რომელთათვისაც მმართველობის ამგვარი სტილი მეტ განვითარებას, ზენოლის შესუსტებასა და თავისუფლებას განასახიერებდა, ამიტომაც ქართველი მოაზროვნეების მიერ ერობა ყველაზე მისაღებ მმართველობის სისტემად აღიქმებოდა, რომელიც დაიცავდა მოქალაქეთა ინტერესებს. ნიკო ნიკოლაძე ხაზს უსვამს ამ სისტემის მთავარ ღირებულებას, თავისუფლებას, რომელიც გამოიხატება ერობისთვის მნიშვნელოვანი უფლებების მინიჭებით. კერძოდ, თუ გუბერნატორი უარყოფდა ერობის მიერ გამოტანილ საკითხს და დაუბრუნებდა კვლავ განსახილველად, ერობას შეეძლო კვლავ თავის პოზიციაზე დამდგარიყო. გუბერნატორს აღარ ჰქონდა უფლება ხელმოეწერა უარყო საკითხი. ის ვალდებული იყო, დათანხმებულიყო. გამონაკლის შემთხვევაში საქმეში სასამართლო ერეოდა. ერობის უფლებაში შედიოდა გუბერნიის სახელით ვალის აღება, ბანკის დაარსება, რკინიგზის გაყვანაც კი, რაც ერობას მეტად დამოუკიდებელსა და მოქმედს ხდიდა, საზოგადოებას კი – ჩართულსა და აქტიურს (1882 წ.).

მართალია, რუსეთის იმპერიაში XIX-ის მიწურულსა და XX-ის დამდეგს როგორც საზოგადოებისთვის, ისე იმპერიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეფორმები ტარდებოდა. რეალური თავისუფლება მაინც არ არსებობდა და ცარისტული რუსეთი შიშით და ეჭვით შეჰყურებდა საკუთარი მოქალაქეებისათვის თავისუფლების მინიჭებას. ჯიუტად წარმოებდა წარსული, თვითმპყრობელური პოლიტიკის შენარჩუნება და მისი გაძლიერების სურვილი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუნდაც იმდროინდელი, ნახევრად დემოკრატიული მსოფლიოს გაგებითაც კი რუსეთის იმპერიაში რეალური თვითმმართველობა არ

არსებობდა: „ამკარად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ „ნამდვილი საერო თვით-მმართველობა“ რუსეთში არასდროს არსებობდა“ (ბელოკონსკი, ერობა და თვითმმართველობა, 1905)

მმართველობის ამგვარი სისტემა რუსეთის იმპერიაში მის დამბობამდე გაგრძელდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ დაამხო მონარქია და ხელისუფლებაში მოვიდა სოციალისტური შეხედულების დროებითი მთავრობა, რომელიც ცდილობდა გარდაექმნა იმპერია და მისი ქვეშევრდომებისთვის მეტი თავისუფლება მიეცა.

დროებითმა ხელისუფლებამ დიდ ხანს მოღვაწეობა ვერ შეძლო, ის 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გადატრიალების გზით დაემხო. დროებითმა ხელისუფლებამ მცირე დროში ვერ შეძლო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება, თუმცა იყო რამდენიმე გადაწყვეტილება, მაგალითად, 1917 წლის 25 აპრილს გაუქმდა ხმოსანთა სათათბიროში არჩევისთვის დანესებული ქონებრივი ცენზი, რაც მნიშვნელოვანი იყო ამ ორგანოს გათავისუფლებისა და რეალურად საზოგადოების ჩართულობისთვის. ამ ცვლილებამ გზა გაუხსნა ჩვეულებრივ, ეკონომიკურად არცთუ შემძლე ფენას არჩევნებში მონაწილეობა მიელო და სათათბიროში ხმოსანთა ადგილები დაეკავებინა. ამით დაიწყო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია. ამავე პერიოდში მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქალაქებისთვის თვითმმართველობის სტატუსის მინიჭება: ხაშური, ჭიათურა, ონი, სამტრედია, შორაპანი, ხონი, მცხეთა, საჩხერე, ზუგდიდი, ოჩამჩირე, გუდაუთა, კასპი.

რუსული მმართველობა საქართველოში დასასრულს უახლოვდებოდა. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასია ჩამოშორდა საბჭოთა რუსეთს. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრიორიტეტს ხელისუფლების დეცენტრალიზაცია წარმოადგენდა. თუმცა ეს პროცესი საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა აგრესიამ დაასამარა.

**საქართველოში მცხოვრები კათოლიკეებისა და
ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების
ურთიერთობის ისტორიისათვის 1801-1921 წლებში**

გიორგი ჩუბინიძე

ბაკალავრიატი, IV კურსი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

XIX საუკუნის დასაწყისში არსებული მოვლენები საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები კათოლიკეებისთვის იმედის მომცემი აღმოჩნდა. ამის შესახებ კათოლიკე მღვდელი და ქართველი მეცნიერი მიხეილ თამარაშვილი აღნიშნავს: „...ამიერიდგან ველარც მტრები ინავარდებდნენ კათოლიკების წინააღმდეგ და ველარც პატრებს დაუშლიდა ვინმე თავიანთ სამსახურის თავისუფლად აღსრულებას“¹. თამარაშვილის ეს განწყობა, ჩვენი ვარაუდით, XVIII საუკუნეში სპარსელების მიერ მიყენებული ზიანით უნდა იყოს განპირობებული. ამ პერიოდისთვის ქართველ კათოლიკებს საკუთარი სალოცავი და საცხოვრებელი სახლი არ ჰქონდათ, რადგან ისინი სპარსელებს თბილისში შემოჭრის დროს დაურბევიათ. უფრო ადრე ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ II-ს ქართველი კათოლიკეებისთვის რამდენიმე სამლოცველო ტაძარი ჩამოურთმევია, რის გამოც იმდროინდელი კათოლიკეები დიდ უკმაყოფილებას გამოხატავდნენ.

კაპუცინების მისიის ხელმძღვანელი პატრი ფრანჩისკე ანტონ პატოელი კარდინალთან გაგზავნილ წერილში ერთ საინტერესო ფაქტს აღნიშნავს: „აქაური ქართველების კათალიკოსმა და მათმა მიტროპოლიტმა ეკლესიაში შემოსვლა ინებეს, ეგრეთვე სომხების პირველი ეპისკოპოსიც შემოვიდა. პატივი ვეცით და სკამზედ დავსვით...“². ეს წერილი განსაკუთრებით საინტერესოა მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვისაც, ვინაიდან წერილში

¹ მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა. ტფილისი, 1902. რეპრინტი, თბილისი, 2011, გვ. 481.

² მიხეილ თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა. ტფილისი, 1902. რეპრინტი, თბილისი, 2011, გვ. 497.

დასახელებული „ქართველების კათალიკოსი“ არის უნმიდესი ანტონ II. მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში რომის კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიები იმდენად დაშორდნენ, რომ დღეისათვის მორწმუნეთა ნაწილს წარმოუდგენლად ეჩვენება სასულიერო პირებს შორის რამე კავშირ-ურთიერთობა, მითუმეტეს მართლმადიდებელი იერარქის სტუმრობა კათოლიკურ და სხვა აღმსარებლობის სარიტუალო ტაძარში.

მიხეილ თამარაშვილი ნიგნში „ისტორია კათოლიკობისა“, ცხადია, მოვლენებს გარკვეული სუბიექტურობით აღწერს, მაგრამ ერთი რამ ცხადად ჩანს, რომ მტრობა არასოდეს ყოფილა ამ ორ ქრისტიანულ აღმსარებლობას შორის, თუ მათ შორის მესამე ძალა არ გააღვივებდა რამე შულს. ისიც ნათელია, რომ რუსული ხელისუფლება შედარებით დიპლომატიურად ახერხებდა კათოლიკურ მისიებთან ურთიერთობას და უნდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ეს განპირობებული იყო ევროპული სახელმწიფოებისადმი ანგარიშის განევით. ამის შედეგი უნდა იყოს ის დამოკიდებულება, რაც კათოლიკეებს რუსული ხელისუფლებისადმი ჰქონდათ. რელიგია ხშირად არის იარაღი საზოგადოების გახლეჩისათვის, XIX საუკუნეში კი ეს მთავარი იარაღი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის საქართველოში დამკვიდრებისათვის.

სტამბოლის ქართულ სავანეში არსებული დოკუმენტებიდან, წერილებიდან ნათლად ჩანს, როგორი დამოკიდებულება იყო კათოლიკეებსა და ქართველ მართლმადიდებლებს შორის XIX საუკუნის მიწურულს და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. ყოველივე ამის ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში საბჭოთა რუსეთის შემოსვლამდე, მიუხედავად ორ რელიგიას შორის არსებული დოგმატური სხვაობებისა, პიროვნული, დიპლომატიური, თუ სხვა სახის ურთიერთობები მეგობრული იყო. შესაბამის მასალებზე დაყრდნობით, სწორედ ამის წარმოჩინებას და დადასტურებას შევეცდებით.

ეროვნული და რელიგიური იდენტობის საკითხი აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

გოდერძი ბოლქვაძე

ბაკალავრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის იყო დიდი იმპერიების ინტერესის ობიექტი. კავკასიაში პოლიტიკური ვითარება მეზობელი იმპერიების ინტერესებისა და გეგმების მიხედვით იცვლებოდა. „ოსმალობამ“ და „ციზილბაშობამ“ საქართველო, მისი ცალკეული რეგიონები მნიშვნელოვნად დაასუსტა, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით.

ყველა დამპყრობელს, რომელსაც უღაშქრია კავკასიაში, თავისი მიზანი ამოძრავებდა. ზოგიერთი მარბიელი ლაშქრობით შემოიფარგლებოდა, ზოგიერთს უფრო „შორსმჭვრეტელი“ მიზნები ამოძრავებდა, რაც გულისხმობდა ტერიტორიის დაპყრობას, გავლენის სფეროდ ქცევას, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაციასა და დამკვიდრებას. საქართველოში არაერთხელ ყოფილა ასეთი ლაშქრობები ოსმალეთისა და ირანის იმპერიების მხრიდან, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოსთვის 1555 წელს, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის 23 წლიანი ომის შემდეგ დადებული ამასიის ზავი იყო, რომლის ძალითაც იმხანად ორმა უძლიერესმა იმპერიამ ამიერკავკასია შუაზე გაიყო.

XVII საუკუნის ბოლოდან სამხრეთ კავკასიაში (ამიერკავკასიაში) გამოჩნდა ახალი მოთამაშე, რუსეთის იმპერია. სამხრეთ კავკასიაში მესამე ძალის გამოჩენამ გეოპოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად შეცვალა აღნიშნულ რეგიონში. XVI საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე კავკასიაში გაბატონების მსურველ სამ იმპერიას შორის დაპირისპირებას არაერთი ომი და ზავი მოჰყოლია. ზავები თუ ტრაქტატები, რომლებიც იდებოდა ირანს, ოსმალეთსა და რუსეთს შორის მეტად მძიმე იყო საქართველოსთვის.

XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში გაბატონების მსურველ სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთის იმპერიებს შორის წარმატებას რუსეთის იმპერია აღწევს. ოსმალეთის თითქმის 300

ნლოვანმა ბატონობამ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე ერთი ერის რელიგიური ნიშნით შუაზე გაყოფა გამოიწვია. გაჩნდა „სამუსლიმანო საქართველოს“ და „საქრისტიანო საქართველოს“ ცნება. აჭარლებისთვის ქრისტიანული რელიგიის სხვა რელიგიით ჩანაცვლებამ სხვა პროცესებთან ერთად ეროვნული ღირებულებების გაუფერულება გამოიწვია. ოსმალეთის პოლიტიკამ აჭარაში სერიოზული დაღი დაასვა ეროვნულ ცნობიერებას. ეროვნული და რელიგიური იდენტობის მკვეთრი გადაჯაჭვულობა ქართველი ერის ისტორიაში გამაერთიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა, მაგრამ ისეთი მოცემულობის დროს, როგორც სუფევდა აჭარაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, პირიქით, დამბრკოლებელ ფაქტორად იქცა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიის საშუალებით შესაძლებელი გახდა დაკარგული ტერიტორიების დედასამშობლოსთან დაბრუნება და ეროვნული ერთიანობის აღდგენა. რუსეთის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ სამუსლიმანო საქართველოს აჭარლების საქართველოსთან ინტეგრაციას გარკვეულწილად პრობლემები შეუქმნა, თუმცა ეროვნული ერთიანობის იდეით ანთებული მამულიშვილების წყალობით მოხერხდა გაუცხოების აღმოფხვრა. „თერგდალეულების“ დიდმა ყურადღებამ და ზრუნვამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული ერთიანობის საქმეში. საქართველოსთვის მძიმე აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის მსვლელობა. რუსეთ-ოსმალეთის ხელახალი დაპირისპირება და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის თავიდან გადანაწილება. რუსეთში მონარქიის დამხობამ, დროებითი ხელისუფლების დამყარებამ, ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამ დიდი გავლენა იქონია იმპერიაში შემავალ მცირერიცხოვან ერებზე. სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც მალევე დაიშალა შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. მალევე ამ პროცესებს მოჰყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. ამ სწრაფმა ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია აჭარაში ეროვნულ იდენტობაზე, თვითგამორკვევაზე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი კომიტეტი რომ არა, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, ერთიანი ეროვნული იდეით გამსჭვალული ინტელიგენცია და ქართველი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეების

გონივრული ნაბიჯები, შეუძლებელი იქნებოდა ერის გაერთიანება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აქტიურად დაიწყო მსჯელობა აჭარის ავტონომიურობასთან დაკავშირებით. „სამუსლიმანო საქართველოს“ წარმომადგენლები ითხოვდნენ ფართო ავტონომიას, რაც, ფაქტობრივად, სახელმწიფოს სახელმწიფოში გულისხმობდა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება კარგად ხედავდა იმ სპეციფიკურ ვითარებას, რომელიც აჭარაში სუფევდა, ამიტომ გადადგა არაერთი შემხვედრი ნაბიჯი და წავიდა დათმობაზე. გამომდინარე იმ პოლიტიკური ფონიდან, რომელიც არსებობდა იმ ხანად ამიერკავკასიაში, დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა, ბოლომდე გადაენწყვიტა აჭარის საკითხი. ფართო ავტონომიის მოთხოვნა უმთავრესად განპირობებული იყო იმ ეროვნულ, კულტურულ, რელიგიურ, სოციალური რეალობიდან გამომდინარე, რომელიც სუფევდა აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებში. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 1921 წელს შეიქმნა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად დიდი გამოწვევებისა, გარე ძალების დაინტერესებისა, ოსმალთა თითქმის 300 წლოვანი ბატონობისა, თუ შიდა უმართავი პროცესებისა, აჭარის მოსახლეობამ შეძლო ეროვნული და რელიგიური იდენტობის გამიჯვნა და ეროვნული იდეის ირგვლივ გაერთიანება.

ნადირობა შუა საუკუნეების საქართველოში

ნინო კაკალაშვილი

ბაკალავრიატი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ნადირობა, საბრძოლო ვარჯიში, ვასალური მოვალეობა

საქართველოში შუა საუკუნეების პერიოდში ნადირობას დიდი ყურადღება ექცეოდა. ჩვენი მიზანია განვიხილოთ თუ როგორ წა-

რიმართებოდა ნადირობის პროცესი, რა სახის ნადირობა არსებობდა და ის მახასიათებლები, რომლებიც ნადირობის პროცესის განუყოფელი ნაწილი იყო. განსაკუთრებულ ყურადღებას კი ნადირობის მნიშვნელობაზე გავამახვილებთ.

ნადირობა არ იყო მხოლოდ გართობისა და საკვების მოპოვების საშუალება. ის უმთავრესად წარმოადგენდა საბრძოლო ვარჯიშს. საქართველოს მუდამ უწევდა ბრძოლა სხვადასხვა დამპყრობლის წინააღმდეგ. მთავარ სამხედრო ძალას ფეოდალური არმია წარმოადგენდა, თუმცა, იყო სხვა სახის შენაერთებიც. ფეოდალების უმთავრესი მოვალეობა თავისი სიუზერენის წინაშე სამხედრო სამსახური იყო და აგრეთვე, ნადირობაში მონაწილეობა. ამ ფაქტს ადასტურებს როგორც საისტორიო წყაროები, ისე სიგელები, რომლებიც გაცემულია ქართველი მეფეების მიერ. მეფე იშვიათად ათავისუფლებდა ვინმეს ნადირობის მოვალეობისაგან.

ნადირობა შეიძლება შევაფასოთ სოციალური თვალსაზრისითაც. ნადირობა ფეოდალთა პრივილეგიას წარმოადგენდა, გლეხებს ნადირობის უფლება არ ჰქონდათ. ეს დამახასიათებელია როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც. ნადირობა მიუთითებდა მოსახლეობის სოციალურ განსხვავებულობაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ამ საკითხის შესწავლისათვის.

ნადირობის დროს ხდებოდა საბრძოლო უნარ-ჩვევების განვითარება. ნადირობა რაინდებისათვის თავის წარმოჩენის ერთ-ერთი საშუალება იყო. ნადირობა ზოგჯერ ლაშქრობას ემსგავსებოდა, სამეფო ნადირობის დროს განვლავდა ისე ხდებოდა როგორც ომის დროს. ასეთი ნადირობა რამდენიმე თვესაც შეიძლება გაგრძელებულიყო. ნადირობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ნადირობის საქმეს სპეციალური მოხელე მონადირეთუხუცესი განაგებდა. მას სხვა მოხელეები ემორჩილებოდნენ.

ნადირობა ეწყობოდა გართობის მიზნითაც და ხშირად ის უბრალოდ საკვების მოპოვების საშუალება იყო. ამას მოწმობს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი მოვლენებიც.

ნადირობის სცენების აღწერას მნიშვნეოვანი ყურადღება ეთმობა როგორც საისტორიო თხზულებებში, ისე ლიტერატურაში. ნადირობის მოვალეობა აღნიშნულია მეფეთა სიგელებში. შესაბა-

მისად, გვსურს წარმოვაჩინოთ ის დეტალები, რომლებიც უკავშირდება ნადირობას და სხვადასხვა წყაროების შეჯერების საფუძველზე აღწეროთ ნადირობის პროცესი და მისი სახეები. ნადირობა შუა საუკუნეებში ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და სამხედრო თუ სოციალური თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს.

არქივი როგორც აქტიური მეხსიერების ინსტიტუტი (შსს არქივის მაგალითზე)

ვლადიმერ ლუარსაბიშვილი

ისტორიის დოქტორი

შსს არქივი/ნიუ ვიჟინის უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: არქივი, ეროვნული მეხსიერება, ისტორია, კულტურა, ინტერპრეტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მსჯელობა არქივის, როგორც *აქტიური მეხსიერების ინსტიტუტის*, ფუნქციის შესახებ. არქივი განსხვავებული ფუნქციების მქონე დაწესებულებაა, რომელიც ქვეყნის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საარქივო ფონდებში დაცულია მრავალრიცხოვანი მასალა, რომელზეც არაერთი განსხვავებული შინაარსის მქონე სიუჟეტი შეიძლება იქნეს აგებული და რომლებიც პროფესიონალის მიერ ინდივიდუალურ მიდგომასა და განსაკუთრებულ ინტერპრეტაციას საჭიროებენ. დოკუმენტების ისტორიულ-კოლექტიურმა, ფსიქოანალიტიკურმა და სუბიექტურმა ნაკითხვამ შეიძლება კონკრეტული ისტორიული პროცესების შესახებ დამკვიდრებული შეხედულებები შეცვალოს და ხელი შეუწყოს როგორც ანტიკური და შუასაუკუნოვანი, ისე თანამედროვე ისტორიის ხელახალ გააზრებას. ისტორიის ნაკითხვისა და ინტერპრეტაციის პროცესში არქივის როლის შესწავლას ისახავს მიზნად ჩვენი გამოკვლევა.

არქივი, როგორც აქტიური მეხსიერების ინსტიტუტი, წარმოადგენს არა მხოლოდ საცავს, არამედ ქვეყნის ისტორიის აღდგე-

ნის, ინტერპრეტაციისა და გააზრების ეფექტურ ინსტრუმენტს. როგორც პირველხარისხოვანი, ისე მეორეხარისხოვანი საარქივო დოკუმენტები ნათელს ჰფენენ ისტორიულ რეალობას და ხელს უწყობენ ეროვნული მემკვიდრეობის ჩამოყალიბებას.

საარქივო კვლევები ეფექტური საშუალებაა საერთაშორისო თანამშრომლობისა და განსხვავებული კულტურების დაახლოებისათვის. არქივის თანამშრომლები და სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები თანამედროვე სამეცნიერო დისკურსს ქმნიან, რომელიც მრავალმხრივ და მრავალფეროვან ინტერპრეტაციას ექვემდებარება კულტურული, ისტორიული და ფილოსოფიური თვალსაზრისით.

ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის დროს, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო მიდგომები პლურალიზმითა და განსხვავებული შეხედულებების განვითარებით ხასიათდება, საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოებული „ახალი“ ისტორიული რეალობების ინტერპრეტაცია აუცილებელი პირობაა ერის ფუნქციისა და მიზნების გააზრებისათვის თანამედროვე მრავალმხრივ და ტოლერანტულ გარემოში. ამგვარად, არქივი უნიკალური საშუალებაა არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის, არამედ სრულიად კაცობრიობის განვითარების კუთხით.

საარქივო დოკუმენტები არ არის ერთადერთი სარწმუნო ისტორიული წყარო, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ტოტალიტარული მმართველობების საარქივო ფონდების შესახებ. ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდის დროს, როგორიც იყო, მაგალითად, დიდი ტერორი საბჭოთა კავშირში, არაერთი საგამოძიებო საქმე გაყალბდა, რაც კონკრეტული პირების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. მსგავს შემთხვევებში ისტორიული ქეშმარიტების დასადგენად აუცილებელია დამატებითი დოკუმენტების გაცნობა, რათა წარსულის მეტ-ნაკლებად სარწმუნო სურათის აღდგენა გახდეს შესაძლებელი.

**„ქართლის ცხოვრების“ როლი და მნიშვნელობა
წარსულსა და თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში**

რევაზ ცინცაძე

ბაკალავრიატი, III კურსი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

ქართლის ცხოვრების როლი ქართულ ისტორიოგრაფიაში განუსაზღვრელია. მისი ფუნქცია და მახასიათებლები საზოგადოების მაღალ ფენებში ინტერესს ყოველთვის იწვევდა. განსაკუთრებით დაინტერესებულები იყვნენ მეფეები, რომლებიც ხშირად პოლიტიკურ თუ კულტურულ გადანაცვეტილებებს „ქართლის ცხოვრების“ წყაროების გათვალისწინებით იღებდნენ. მაინც რა არის ასეთი მნიშვნელოვანი ქართული საისტორიო თხზულებების ამ კრებულში? რა როლი ენიჭებოდა? რა დატვირთვა ჰქონდა და აქვს მას თანამედროვე ქართული საზოგადოებისთვის? – ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეგვიძლია გავიხსენოთ ლეონტი მროველის ისტორიული თხზულების „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელშიც ლეონტი ფარნავაზისა და ქუჯის ურთიერთობაზე მოგვითხრობს. მისი თქმით, დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ლიდერი ქუჯი აღიარებს ფარნავაზისა და ქართლის უპირატესობას. ფარნავაზს უფალს, ხოლო თავის თავს მონას უწოდებს („შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“). ამ ყველაფერს ლეონტი მროველი მეთერთმეტე საუკუნეში წერს, მაშინ, როცა საქართველოს გაერთიანების პროცესი აქტიურ ფაზაშია შესული. ფაქტობრივად, ზემოთ მოყვანილი მონაკვეთით მოხდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოების გაერთიანების ლეგიტიმაცია. ისტორიული სინამდვილე საუკუნეთა განმავლობაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებდა და სწორედ ისტორიული სინამდვილის ამსახველად გვევლინება „ქართლის ცხოვრება“.

„ქართლის ცხოვრებას“ სხვადასხვა ავტორის წერდა. ის გახდა ეროვნული თვითმეგნების ერთ-ერთი საფუძველი და გაერთიანებული საქართველოს „კოლექტიური მეხსიერება“. მე-19-20 სა-

უკუნეები ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია „კოლექტიური მემსიერება“ ერის ისტორიულ ცხოვრებაში. რუსეთის იმპერიამ საქართველოს ანექსიის შემდეგ რამდენჯერმე სცადა ჩვენი ქვეყნის ისტორიის „გაყალბება“, ქართლის ცხოვრების დაჩრდილვა, უკანა ფლანგზე გადანევა და, რიგ შემთხვევებში, დამახინჯებაც. ეს პოლიტიკა ქართველი ერის რუსიფიკაციას ემსახურებოდა. ილია ჭავჭავაძისა და ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დიდი ძალისხმევის შედეგად ქართული ისტორიოგრაფია განადგურებას გადაურჩა. არანაკლები სირთულეები იყო საბჭოთა კავშირის სამოცდაათწლიანი არსებობის პერიოდშიც.

საინტერესოა კოლექტიური და ინდივიდუალური მემსიერებების შედარება. ინდივიდუალური მემსიერება კონკრეტულ გარემოსა და კონკრეტულ დროში არსებობს, მისი ხანგრძლივობა მაქსიმუმ ერთი საუკუნეა. ის სულაც არ არის იზოლირებული, რადგან სხვა ინდივიდებთან არის დაკავშირებული და ქმნის სოციალურ ანუ კოლექტიურ მემსიერებას.

სოციუმის არსებობისთვის, ისევე როგორც ადრე, ახლაც უმნიშვნელოვანესია წარსულის ცოდნა. თითოეული სოციუმში ერთმანეთისგან განსხვავდება. მათი განსხვავებულობა და ინდივიდუალიზმი კოლექტიურ მემსიერებაში თავის ადგილს იკავებს. სწორედ ამ განსხვავებულობისა და ინდივიდუალიზმის მატარებელია „ქართლის ცხოვრება“. მისი ფუნდამენტური ხასიათი ქართულ სოციუმსა და მის განვითარებაზე დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ქართლის ცხოვრებისა და მისი როლის უკეთ გამოსახატავად გადამეტებული არ იქნება „ქართლის ცხოვრებისა“ და ბიბლიის ისტორიული თუ ეროვნული მნიშვნელობების შედარება. საუკუნეების განმავლობაში ბიბლია, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრება“, ეროვნული იდენტობის აღმნიშვნელ ფუნქციებს ითვისებდა. ებრაელებისათვის სახელმწიფოს არარსებობის ყამს ბიბლია იყო ეროვნული ნიშა, კოლექტიური მემსიერება და სწორედ ამით შეინარჩუნეს მათ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში თავიანთი ეროვნება და კულტურა. არავინ იცის, მოახერხებდა თუ არა საქართველო მტკიცე გაერთიანებას მეთერთმეტე საუკუნეში, რომ არა „ქართლის ცხოვრება“ და მისი ისტორიული, სოციალური და

კულტურული გავლენა იმ დროის მოსახლეობაში. ვფიქრობ, ქართული საზოგადოების, მისი კულტურისა და განსხვავებულობის შენარჩუნების ძირითადი მიზეზი სწორედ ქართლის ცხოვრებაა.

ფრანგი დიპლომატი გრაფი მარი-ეჟენ მელქიორ დე ვოგი თბილისის შესახებ

ოთარ ნიკოლეიშვილი

ასოციირებული პროფესორი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XIX საუკუნის საქართველოში ვიზიტად მყოფ გამოჩენილ ადამიანთა შორის, რომელთაც საინტერესო წერილობითი ცნობები დაგვიტოვეს შესაბამისი პერიოდის ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი ფრანგი დიპლომატი, ორიენტალისტი, სამოგზაურო ჟანრის ნაშრომთა ავტორი, ფილანტროპისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი გრაფი მარი-ეჟენ მელქიორ დე ვოგი (1848-1910 წწ.). იგი 1875-1882 წლებში სანქტ-პეტერბურგში მსახურობდა საფრანგეთის საელჩოს მდივნად. აღნიშნულ პერიოდში მან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეში იმოგზაურა, მათ შორის ექვსი კვირის განმავლობაში იგი კავკასიასა და ჩვენს ქვეყანაშიც იმყოფებოდა.

დიპლომატიური კარიერის დასრულების შემდეგ, 1888 წელს, მარი-ეჟენ მელქიორ დე ვოგი საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. მას სამოგზაურო ჟანრის ბევრი ნაშრომი ეკუთვნის, რომლებშიც მის მოგზაურობასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებია გადმოცემული. მათგან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს „კავკასიაში“. ეს არის ერთ-ერთი ნაწილი წიგნისა „მეფე და მისი ხალხი, ანუ სოციალური ცხოვრება რუსეთში“, რომელიც 1891 წელს გამოიცა ნიუ-იორკში. ხსენებული წიგნისადმი ქართველი მკითხველის ინტერესს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასში ბევრი საინტერესო ინფორმაციაა მოცემული XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტო-

რის, კულტურის, ტრადიციებისა და მოსახლეობის სოციალური ყოფის შესახებ.

საბოლოოდ, დასკვნის სახით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მარი-ეჟენ მელქიორ დე ვოგის ზემოთ ნახსენები ნაშრომი, მასში არსებული მცირე უზუსტობების მიუხედავად, ნამდვილად წარმოადგენს მკვლევართათვის უთუოდ საინტერესო ნერილობით წყაროს თბილისისა და ზოგადად საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

ზმნურ ფორმათა ფუნქციურ ელემენტებად ჩამოყალიბების საკითხი კორპუსის ლინგვისტიკის ჩარჩოში

მარიამ რუხაძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: გრამატიკალიზაცია, ფუნქციური ელემენტი, ენობრივი კორპუსი, ანალიზატორი, ავტომატური ანოტირება

ენა ნიშანთა სისტემაა და კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს. ენის სისტემის კვლევა, ერთი მხრივ, და ენის ფუნქციონირების მექანიზმისა, მეორე მხრივ, თანამედროვე ენათმეცნიერების ქვაკუთხედს ქმნის. სწორედ ამ ორი ასპექტის ურთიერთმიმართება განაპირობებს ენის ცვლილების დინამიკას დროსა და სივრცეში, რომელიც ენის ყოველ დონეზე აისახება. იცვლება ენის ფონოლოგიური ინვენტარი, მორფოლოგია, ცვლილებას განიცდიან სინტაქსური სტრუქტურები, ცვლილებები დასტურდება სემანტიკური და პრაგმატიკული დონეების ფარგლებშიც.

ენობრივ ინვენტარს **ლექსიკური მნიშვნელობის** მატარებელი ერთეულებისა და **ფუნქციური ელემენტების** ერთიანობა ქმნის. ენობრივმა ნიშანმა შეიძლება იცვალოს დანიშნულება და ერთი პარადიგმატული კლასიდან მეორეში გადავიდეს. მაგალითად, **ლექსიკურმა ელემენტმა** შეიძლება განიცადოს დესემანტიზაცია

და **ლექსიკურ ერთეულთა** კლასიდან **ფუნქციურ ელემენტთა** კლასში გადავიდეს. ენის სისტემის შიგნით მიმდინარე ამ ტიპის ცვლილებას **გრამატიკალიზაცია** ეწოდება.

ენებში **გრამატიკალიზაცია** ტიპოლოგიურად ცნობილი პროცესია. იგი უნივერსალური ფენომენია და ენის განვითარების ლოგიკურად თანმხლებ მოვლენად არის მიჩნეული. ტერმინი „გრამატიკალიზაცია“ ანტუან მეიეს ეკუთვნის, თუმცა ამ კონცეპტით ნაგულისხმები იდეა გაცილებით ძველია. ტიპოლოგიურად განსაკუთრებით საინტერესოა ზმნურ ფორმათა გრამატიკალიზაცია. შდრ.: „პეტრე შებინდებისას **ადგა** და მინდვრისკენ მიმავალ გზას დაადგა“ (**ადგა** პრედიკაციის გამოშნატველი ზმნა) და „**ადგა** და გიორგის დააბრალა ყველაფერი“ (**ადგა** ფუნქციური ელემენტი, წინადადებაში კი პრედიკაციას გამოხატავს ზმნა დააბრალა).

ფუნქციური ელემენტები განსაკუთრებულ სირთულეებს წარმოქმნიან **ენობრივ კორპუსში ავტომატური ანოტირებისას**. მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნის ენათმეცნიერების უმთავრესი გამოწვევა ენის ელექტრონული დოკუმენტირება და ენობრივი კორპუსების შექმნაა. კორპუსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის ენობრივ ფორმათა ანალიზი, რაც **ანალიზატორის** მეშვეობით ხორციელდება. ვინაიდან **ფუნქციური ელემენტების** საკითხი ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში სათანადოდ დამუშავებული არ არის, ქართული ენის ნაციონალურ კორპუსს არ აქვს **ალგორითმი ფუნქციური ელემენტების** სხვა პარადიგმატული კლასის ელემენტებისაგან გასამიჯნად. შესაბამისად, წარმოიშობა ომონიმიის პრობლემა და ფერხდება კორპუსში **დისამბიგურობის** (ომონიმიის მოხსნის) საკითხი.

მოხსენებაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომელიც ფუნქციურ ელემენტთა კორპუსული მეთოდით შესწავლის თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი ნაშრომია. კვლევის ფარგლებში დამუშავდა ფუნქციური გრამატიკის საკითხების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, კვლევის მეთოდები, რომლებიც ამ ტიპის ენობრივი ერთეულების შესწავლისას გამოიყენება. შეიქმნა ფუნქციურ ელემენტთა კვლევისათვის გამოსადეგი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ჩარჩო; განისაზღვრა მოცემული ზმნური ერთეულების გრამატიკალიზაციის საფეხურები. კონტექ-

სტების ანალიზის შედეგად გამოვლინდა პოზიციები, რომლებშიც საკვლევი ელემენტები ფუნქციონირებენ, ერთი მხრივ, ზმნური ერთეულებისა და, მეორე მხრივ, გრამატიკალიზებული ელემენტების სახით. შემუშავდა ავტომატური ანოტირებისას ანალიზატორისათვის ალგორითმის სახით მისანოდებელი წესები, რაც ავტომატურად გამიჯნავს ერთმანეთისაგან ზმნურ და გრამატიკალიზებულ ელემენტებს. კორპუსულმა კვლევამ მოგვცა სტატისტიკა, რის საფუძველზეც დავითვალეთ ალგორითმების ცდომილების პროცენტული შესაძლებლობა.

მიმართვის სახელური ფორმები მეგრულსა და ლაზურ ანდაზებში

გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ანდაზა, ქართველური ენები, მიმართვის ფორმები

ხალხური სიტყვიერების სხვა ჟანრებისგან განსხვავებით, ანდაზას სხარტი და მოქნილი აგებულება ახასიათებს. ღრმაშინაარსიანი სათქმელის ლაკონიურად გადმოცემა ბევრად არის დამოკიდებული ანდაზაში ნარმოდგენილ ენობრივ-გამომსახველობით ინვენტარზე. ანდაზის ენისთვის დამახასიათებელი სისხარტე მიიღწევა თავისებური მორფოსინტაქსური კონსტრუქციებით, რაც უზრუნველყოფს სათქმელის მარჯვედ გადმოცემას. იმ ლინგვისტური ხერხებიდან, რომელთა საშუალებითაც პარემია ნარმოგვიდგება ტევადი შინაარსის სპეციფიკური ინტონაციით ნარმოსათქმელ ფრაზად, საინტერესოა სახელური (*resp.* ვოკატიური) მიმართვები.

ანდაზის ენაში სახელური მიმართვის გამოყენება უმეტესწილად ემსახურება პარემიებისთვის ნიშანდობლივი ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებლის – რითმული და რიტმული

ორგანიზებულობის მონესრიგებას. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ანდაზებში „რითმის საჭიროებისათვის გამოყენებულია მეტად იშვიათი საკუთარი სახელები ან მათი უჩვეულო ფორმები“ (შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში, დისერტაცია, თბ., 2003 წ.).

მეგრულსა და ლაზურ პარემიულ ერთეულებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ვოკატიური ფორმით მოცემული საკუთარი და საზოგადო სახელები ერთმება ანდაზის სხვა რომელიმე წევრს, რაც, თავის მხრივ, ანდაზის ფრაზის ერთიანობის, მონოლითურობის შთაბეჭდილებას ქმნის. ზემოხსენებული საკითხები საინტერესოა, აგრეთვე, ანდაზის ფრაზებზე დაყოფის თვალსაზრისითაც.

მოხსენებაში, სათანადო მაგალითების ფონზე გაანალიზებულია მიმართვის სახელურ ფორმათა გამოყენების სხვადასხვა შემთხვევა:

1. საკუთარ სახელთა ვოკატიური ფორმები;
2. საზოგადო სახელთა ვოკატიური ფორმები.

კორპუსის ლინგვისტიკაში გრამატიკალიზაციით წარმოშობილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზა (რალაც, სადლაც ელემენტების მაგალითზე)

მარიამ მათიაშვილი

დოქტორანტურა

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: გრამატიკალიზაცია, გრამატიკული ელემენტები, ომონიმია, ომონიმის მოხსნა, ქართული ეროვნული კორპუსი, დეკატეგორიზაცია, დესემანტიზაცია, ეროზია, ექსტენსია

ენა მუდმივად იცვლება და ვითარდება, დროთა განმავლობაში სიტყვები იცვლიან/იფართოებენ მნიშვნელობას და ეს ეხებათ არა მარტო ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს, არამედ გრა-

მატიკულ ერთეულებსაც, რამდენადაც მათ სემანტიკად შეიძლება, მათი ფუნქცია მივიჩნიოთ.

მოსხენება ეხება ლინგვისტურ ერთეულთა მნიშვნელობის ცვლილებებს, კარძოდ კი, პროცესს, რომლის დროსაც გარკვეული ფუნქციის – გრამატიკული ერთეული იცვლის თავის გრამატიკულ მნიშვნელობას და იძენს ახალ გრამატიკულ ფუნქციას. ამ პროცესს გრამატიკალიზაცია ეწოდება.

კვლევის მიზანია, რაღაც, სადღაც ელემენტთა გრამატიკალიზაციის შედეგად მიღებული მნიშვნელობის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტიკასთან მიმართებით, ამ ელემენტთა გრამატიკალიზებულობის დადასტურებისათვის, გარკვეული მეთოდური ჩარჩოს შექმნა.

საკვლევად აღებული რაღაც, სადღაც ელემენტები გარკვეულ შემთხვევებში გრამატიკალიზდებიან, მაგალითად:

რაღაც

ა) **პირვანდელი ფუნქციით** – „თუ გვინდა რაღაც გავაკეთოთ, პოლიციამ მუშაობის ფორმები უნდა შეცვალოს“.

შდრ.

ბ) **ახალი გრამატიკული ფუნქციით** – „იურიდიული კომიტეტის თავჯდომარე ვიყავი, თუმცა რაღაც არ მახსენდება...“

სადღაც

ა) **პირვანდელი ფუნქციით** – „ისინი სადღაც კი არ შეჭრილან, არამედ იცავდნენ საკუთარ სახლ-კარს“.

შდრ.:

ბ) **ახალი გრამატიკული ფუნქციით** – „ვეარაუდობთ, სადღაც 21 მაისს“; „ზუსტი თარიღი არ ვიცი, მაგრამ სადღაც გასული წლის ნოემბერში“.

კვლევისას გამოყენებულია როგორც კორპუსზე დაფუძნებული მეთოდი – ემპირიული მონაცემები მოპოვებულია „ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან“, ისე კორპუსზე ორიენტირებული კვლევის მეთოდი, რაც გულისხმობს ამბიგურობის (ომონიმის პრობლემის) აღმოჩენას კორპუსში საკვლევი ელემენტებისათვის და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას დისამბიგურობისთვის.

კვლევისას გამოყენებულია სუბსტიტუცია; კითხვის დასმის მეთოდი; პერმუტაცია და ა.შ. მეთოდები, რომელთა საშუალებით

ბითაც უფრო მარტივი ხდება აღნიშნულ გრამატიკულ ელემენტთა ფუნქციის შეცვლის დადასტურება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ რაღაც ელემენტის გრამატიკალიზაციისას იგი ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება და ფუნქციურად, დაახლოებით იგივე შინაარსი აქვს, რაც ზმნიზედას რაღაცნაირად. სადღაც ელემენტი კი რჩება ზმნიზედად, მაგრამ აღარ არის ადგილის ზმნიზედა, მიუთითებს მიახლოებითობას და იგივე სემანტიკა აქვს, რასაც სიტყვას დაახლოებით.

კვლევის ბოლო ნაწილში კი შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები კორპუსში ომინიმის პრობლემის დასაძლევად.

ქართული ენისთვის ღირებული პარამეტრები ფონეტიკურ ექსპერტიზაში

მარიამ ნავაძე

დოქტორანტი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ფონეტიკა, ექსპერტიზა, სასამართლო, ლინგვისტიკა, პარამეტრები

ფონეტიკური პარამეტრები, რომლებიც გამოიყენება ექსპერტიზაში, შეგვიძლია დავყოთ ორ მთავარ ჯგუფად:

1. აუდიტორიულ-ფონეტიკური პარამეტრები;
2. აკუსტიკურ-ფონეტიკური პარამეტრები.

არსებობს სამი რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ფონეტიკური ექსპერტიზაში, ამ პარამეტრთა გამოყენების თობაზე. კერძოდ:

- ექსპერტიზის პროცესში საკმარისია მხოლოდ აუდიტორიული ანალიზი (Baldwin 1979; Baldwin and French 1990);
- აუდიტორიული ანალიზი არ არის აუცილებელი და ექსპერტიზა შეიძლება მხოლოდ აკუსტიკურ ანალიზს დაეფუძნოს;

- აუდიტორიული ანალიზი უნდა იყოს აკუსტიკურ მეთოდებთან კომბინირებული (Künzel 1987, 1995: 76-81; French 1994: 173-4).

მესამე კომბინირებულ მიდგომას ხშირად ფონეტიკურ-აკუსტიკურ მიდგომასაც უწოდებენ და თანამედროვე სასამართლო ფონეტიკაში სწორედ იგი მიიჩნევა ყველაზე მეტად მისაღებ პოზიციად, რადგან უმარტივეს დონეზეც კი აუცილებელია თავდაპირველად მოვეუსმინოთ ხმის ნიმუშს, რათა გავიგოთ, თუ რამდენად ხარისხიანია ჩანანერი და მოგვეცემს თუ არა იგი ფონეტიკური ექსპერტიზის ჩატარების საშუალებას. ეს არის აუდიტორიული ანალიზის ყველაზე პრიმიტიული გამოყენება (Rose 2002: 49-50). გარდა ამისა, სწორედ აუდიტორიული მოსმენის დროს უნდა შედგეს აუდიოჩანანერის ტრანსკრიპტი, რომელიც შემდეგ უკვე აკუსტიკური ანალიზის პროცესშიც გამოიყენება და, აგრეთვე, სასამართლო ანგარიშის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

რაც შეეხება აკუსტიკურ პარამეტრებს, ფონეტიკური ექსპერტიზის პროცესში აკუსტიკური პარამეტრების შერჩევა ხდება სიტუაციიდან გამომდინარე, წინასწარ ვერ ვიტყვით, თუ რომელი პარამეტრების გამოყენება გახდება საჭირო კონკრეტულ სიტუაციაში, თუმცა შესაძლებელია ცალკეული ენისთვის დადგინდეს, რომელი პარამეტრი უფრო ღირებული და რელევანტურია ექსპერტიზის მიზნებისათვის.

ამისთვის საჭიროა პარამეტრები შეირჩეს გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. ნოლანის (Nolan 1983) აზრით, იდეალურ პარამეტრებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი მახასიათებლები:

- უნდა აჩვენებდეს სპიკერთაშორისი განსხვავების მაღალ ხარისხს და შიდასპიკერული განსხვავებების დაბალ დონეს (მაგ., მაღალი F ფარდობა);
- უნდა უპირისპირდებოდეს შენიღბვისა და იმიტირების მცდელობას;
- უნდა ჰქონდეს რელევანტური მასალების გამოვლენის მაღალი ხარისხი;
- უნდა იყოს მარტივი და ზუსტი გადასაცემად;
- უნდა იყოს შედარებით მარტივი გასაზომად.

ფილიპ როუზი (2002) აყენებს დამატებით მოთხოვნას პარამეტრებთან დაკავშირებით:

- ყოველი პარამეტრი უნდა იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი სხვა პარამეტრებისაგან.

ამ კრიტერიუმს თავისი საფუძველი აქვს, რადგან ერთმანეთზე დამოკიდებულ სიდიდეებზე აგებული ანალიზით შეიძლება არაადეკვატური პასუხი მივიღოთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტული პარამეტრით ორი სუბიექტი ჰგავს ან არ ჰგავს ერთმანეთს. უკეთ რომ ვთქვათ, დამოკიდებული პარამეტრების გამოყენება (შესაბამისი წესების გამოყენების გარეშე), შეცვლის კვლევის სტატისტიკურ სურათს.

ჩატარებული ექსპერიმენტულ-ფონეტიკური კვლევის შედეგად, რომლის ფარგლებშიც, ზემოთ მოყვანილი მახასიათებლების მიხედვით, შევამონმეთ შემდეგი აკუსტიკური პარამეტრების ღირებულება ქართულ ენაში: ფუნდამენტური სიხშირე (F0), პირველი ფორმანტი (F1), მეორე ფორმანტი (F2), მესამე ფორმანტი (F3), მეოთხე ფორმანტი (F4), ინტენსივობა (დბ) და გრძლივობა (წმ), დადგინდა, რომ ჩამოთვლილი პარამეტრებიდან ფონეტიკური ექსპერტიზის კვლევის მიზნებისთვის ყველზე რელევანტური ფუნდამენტური სიხშირე და ინტენსივობაა.

იაპონური ენის ფერთა სისტემის შესახებ

მარიამ რაქვიაშვილი

ბაკალავრიატი, II კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: იაპონური ენა, არამკაფიო სიმრავლე, ბაზისური ფერი

არამკაფიო (ფაზი) სიმრავლე არის ჩვეულებრივი სიმრავლის განზოგადება, ანუ ჩვეულებრივი სიმრავლე თვითონაა არამკაფიო სიმრავლე. **A** სიმრავლის არამკაფიო ქვესიმრავლე ჰქვია ასახვას $f : A \rightarrow [0,1]$.

არამკაფიო ქვესიმრავლეებია: ჭკვიანი ადამიანები, განათლებული ხალხი... (ჭკვიანსა და „არაჭკვიანს შორის“ ზუსტი საზღვარი არ არსებობს).

არამკაფიო სიმრავლეები გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში მრავალი ობიექტის კვლევისას, რომელთა შორისაცაა ფერთა სისტემაც ენათმეცნიერებაში; კეისა და მაკდანიელის თვალსაზრისით, სწორედ ფაზი სიმრავლის თეორიაზე დაყრდნობით შეიძლება ბაზისურ ფერთა ტერმინების სემანტიკის ყველაზე ადეკვატური და ეკონომიური აღწერა.

ზემოთ აღნიშნული განსაზღვრების მიხედვით, ბაზისური ფერის კატეგორიები ფაზი სიმრავლეებს წარმოადგენენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ყველა ენაში არსებობს იმ ტიპის სიტყვები როგორებიცაა, მაგალითად, კარგი წითელი, ოდნავ მონითალო, მოყვითალო წითელი და სხვა, რომლებშიც ფერი აღნიშნულია ბაზისურ კატეგორიაზე მითითებით და შეიცავს ინფორმაციას მოცემული ფერის ბაზისური ფერის კატეგორიაში ნევრობის ხარისხზე. მაგალითად, კარგი წითელი გულისხმობს, რომ ესაა ფერი, რომელსაც წითელ ფერში ნევრობის მაღალი ხარისხი აქვს; ოდნავ მონითალო ფერს კი პირიქით, ახასიათებს წითელ ფერში ნევრობის დაბალი ხარისხი.

აღსანიშნავია კეისა და ბერლინის მიერ ჩამოყალიბებული ბაზისურ ფერთა ნუსხა, რომელიც ინგლისელ ინფორმატთა გამოკითხვის საფუძველზე შეადგინეს და თერთმეტი ფერისაგან შედგება: **black, white, red, yellow, green, blue, brown, orange, purple, pink, grey.**

ავტორები გვთავაზობენ იმ კრიტერიუმებსაც, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ბაზისურად მიჩნეული ფერი.

ასევე მათ დაადგინეს კრიტერიუმები, რომლებიც, მათი მოსაზრებით, ნებისმიერ ენაში არსებულ ბაზისურ ფერთა განსაზღვრაზე აისახებიან. ეს კრიტერიუმებია:

- 1) ტერმინი უნდა იყოს მონოლექსემური, უნდა შეიცავდეს მხოლოდ ერთ ლექსიკურ მორფემას.
- 2) მისი სიგნიფიკატი არ უნდა შედიოდეს რომელიმე სხვა ტერმინის სიგნიფიკატში.
- 3) მისი გამოყენება არ უნდა შემოიფარგლებოდეს ობიექტთა ვიწრო კლასით.

4) იგი უნდა იყოს შედარებით საზოგადო, გვხვდებოდეს ხშირად და იყოს თვალსაჩინო.

5) ტერმინი იმავე დისტრიბუციული სიმძლავრისა უნდა იყოს, როგორც უკვე დადგენილი ბაზისური ფერის ტერმინები.

6) საექვო ნასესხები სიტყვების ბაზისურობა.

7) როცა ლექსემური სტატუსის გარკვევა ჭირს, მორფოლოგიური სირთულე გამოდგება მეორეულ კრიტერიუმად-მორფოლოგიურად რთული სიტყვის ბაზისურობა ნაკლებმოსალოდნელია.

დღესდღეობით კეისა და ბერლინის მოდელის მიხედვით განხილულია რამდენიმე ენის ფერთა სისტემა, მაგრამ არა – იაპონურისა.

ნაშრომის მიზანია, არამკაფიო სიმრავლეთა გამოყენებით სემიოტიკური თვალსაზრისით, იაპონური ენის ფერთა სისტემის შესწავლა, სხვა ენებთან შედარება და განსაზღვრა, რამდენი ბაზისური ფერია აღნიშნულ ენაში. ნაშრომი ეყრდნობა პროფესორ ეთერ სოსელიას დისერტაციას „სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები“, ასევე პ. კეის, ბ. ბერლინისა და ჩ. მაკკონელის სტატიებს.

ამავე დროს პასუხი გაეცემა კითხვას, ვრცელდება თუ არა კეისა და ბერლინის თეორია იაპონურ ენაზე, ანუ რამდენად უნივერსალურია ეს თეორია.

სემანტიკა ენის სწავლების პროცესში

ნანა ჯანეზაშვილი

ბაკალავრიატი, IV კურსი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ სემანტიკის როლი ენის შესწავლის პროცესში. აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის კავშირი დაფიქსირებულია მოცემულ ენაზე მოლაპარაკეთა ცნობიერებაში. სემანტიკური ცნებები განსხვავებულია ლოგიკური ცნებებისგან, რადგან ისინი ყველა ენაში

თავისებურია. ყოველი ენა განსხვავებულად აყალიბებს და აჯგუფებს ცნებებს, მაგრამ გვაქვს განსაზღვრული ერთიანობებიც. სპეციფიკური ნიშნების მიხედვით შედგენილი ცნებები (თუნდაც გარეგნულად დამახასიათებელი ნიშნები – ფერის, სუნის, აგებულების, ფუნქციის მიხედვით) საერთოენობრივ ღირებულებას იძენს. ყოველი ენა თავისებურად ყოფს **არადისკრეტულ** ობიექტებს და გარდაქმნის **დისკრეტულ** ობიექტებად (მაგ., ფერთა სპექტრი, საკუთარი სახელები, ციური სხეულების სახელები და ა.შ.).

ადამიანები არსებითად ერთნაირად აცნობიერებენ გარეენობრივ მოვლენებს. ამ პროცესის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის გაგება, თარგმნა და რაც მთავარია, უცხო ენის შესწავლა. ადამიანს სჭირდება სამყაროში არსებული საგნების, მოვლენების და მათი ნიშან-თვისებების გაგება, რათა ოპტიმალურად შეაფასოს გარემო სამყარო. სწორედ ამ დროს შემოდის აზრის გაგების **კოგნიტიური** და **პრაგმატიკული** მნიშვნელობები. სემანტიკის შესწავლის პროცესში საჭიროა, ზუსტად განისაზღვროს „მნიშვნელობა“, როგორც აზრი და ჩანაფიქრი. დესემანტიზაციის პროცესს (მაგ., „უნდა“, „ჩათვლით“ და ა.შ.), ექსტენსიის მოვლენას (მაგ., „ხილი და ვაშლი“), იმპლიკაციონალის და ინტენსიონალის შემთხვევებს (მაგ., „ვაშლი სასარგებლო ხილია“; „ეს ვაშლი მკვახეა“). ცნების შინაარსი შედგება არსებით საგანთა ან მოცემული კლასისთვის საერთო და დამახასიათებელი ნიშნებისგან. ინტენსიონალი გვაჩვენებს ცნებებს შორის გვარეობით-სახეობრივ დამოკიდებულებას (მაგ., დედა ↔ მშობელი ↔ ქალი). რთულ გამონათქვამებს რთული დენოტატები აქვთ, კერძოდ, ამ გამონათქვამებით აღსანერი ფაქტები და სიტუაციები. ჩვენ განვიხილავთ ძირითად სემანტიკურ მოვლენებს სხვადასხვა ენების მაგალითზე.

გამონათქვამთა მნიშვნელობის კვლევისას გასათვლისწინებელია კონტექსტი და პრაგმატიკა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობა ცხადად არ არის გამოხატული ენობრივი ფორმით, იგი შეიძლება მხოლოდ „იგულისხმებოდეს“. ნათქვამში გასათვალისწინებელია ადრე ნახსენები ფაქტები და სიტუაციები. ენის შესწავლის პროცესში გასათვალისწინებელია სიტყვის საკომუნიკაციო და ლინგვისტური მნიშვნელობე-

ბი. ჩვენი მიზანია, გამოვიკვლიოთ როგორ ჩნდება სხვადასხვა ენაში სემანტიკური პრობლემები. ყველა ენა განსხვავებული გამოსახვის და გამობატვის უნარით გამოირჩევა. ჩვენ განვიხილავთ, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება მკვლევარმა უცხო ენის შესწავლის დროს. მაგალითების დახმარებით ვნახავთ, თუ როგორ იცვლება სიტყვის **ღირებულება** ფორმისა და კონტექსტის მიხედვით; სხვადასხვა ენაში ნიშნები განსხვავებულ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან (მაგ., „ყელი“ შესიტყვებაში „ყელში ამომვიდა“, რუსულში „горло“ და ინგლისურში “throat” განსხვავებული ღირებულებისაა) ენობრივი ნიშნის მიმართება სისტემის სხვა დანარჩენ ნევრებთან განსაზღვრავს მის ღირებულებას, სწორედ ეს მიმართება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგრამ გვაქვს მსგავსებებიც (მაგ., „თვალი“ და შესიტყვება „თვალს არ აშორებდა“, რუსულში „глаз“ ↔ „не сруссал глаз“). ინგლისური ენაში გვაქვს ფრაზეოლოგიური ზმნები, რომლებიც შეიძლება იდიომატურ გამოთქმად იქცეს (მაგ: “pick up” pick – აღება, შეგროვება + up – მიუთითებს მოძრაობას ქვემოდან ზემოთ).

რუბრიკის სახეები თესაურუსში და მათი შედგენის თავისებურებები

ნათია კენჭიაშვილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: კონტროლირებადი ლექსიკონები, თესაურუსი, მარტივი და რთული რუბრიკები

ინფორმაციის აღწერისა და შემდგომი მოძიების მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის კონტროლირებადი ლექსიკონები, რომელთა ერთ-ერთ სახეა თესაურუსი.

თესაურუსის შედგენისას გასათვალისწინებელია ენაში მოქმედი წესები, რომელიც ასევე შესაბამისობაში უნდა იყოს თვითონ თესაურუსის აგების წესებთან.

თესაურუსის შემადგენელი ძირითადი ტერმინები არსებითი სახელები და სახელური ფრაზებია. ამის მიხედვით, მასში გამოიყოფა მარტივი და რთული რუბრიკები. ჩვენი მიზანი იყო, დაგვედგინა, თუ როგორაა წარმოდგენილი მეტყველების ნაწილები თესაურუსში. კერძოდ, რომელი მეტყველების ნაწილებია დასაშვები თესაურუსის **მარტივი და რთული რუბრიკების** შედგენისას და რომელი – არა.

ქართულენოვან თესაურუსში წარმოდგენილი (დასაშვები და დაუშვებელი) მეტყველების ნაწილები სამ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

1) მეტყველების ნაწილები, რომლებიც გვხვდებიან თესაურუსის დამოუკიდებელ შემადგენელ ელემენტებად (დამოუკიდებელი რუბრიკის სახით); ასეთია: **არსებითი სახელები, სახელზმნები**; ამდენად, დასაშვებ მეტყველების ნაწილებს წარმოადგენენ;

2) მეტყველების ნაწილები, რომლებიც თესაურუსში დამოუკიდებელი სახით არ გვხვდებიან, თუმცა მაინც გამოიყენება რთული რუბრიკების შემადგენელ ნაწილად, რომელიც ფრაზული სტრუქტურისაა. ისინი საჭიროა სიტყვათშეთანხმებების სწორი ფორმით შედგენისთვის. ასეთი მეტყველების ნაწილებია: **ზედსართავი სახელი, თანდებული**;

3) მეტყველების ნაწილები, რომლებიც საერთოდ არ გვხვდება თესაურუსში. ასეთია: **ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისზედა, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული**.

ლიტერატურა:

1. Information and documentation – Thesauri and interoperability with other vocabularies, ISO/FDIS 25964-1:2011(E).
2. National Information Standards Organization (1994). ANSI/NISO Z39.19:1993. Guidelines for the Construction, Format and Management of Monolingual Thesauri. ANSI/NISO Z39.19–1993. Bethesda, MD: NISO Press, 1993. An American National Standard, developed by the National Information Standards Organization, appro-

ved August 30, 1993 by the American National Standards Institute, Bethesda, MD: NISO Press, 1994.

3. http://www.wsl.ch/dienstleistungen/publikationen/office/abk_EN
4. <http://www.udcsummary.info/php/index.php?lang=ka&pr=Y>
5. <http://www.nplg.gov.ge/ec/ka/cart/search.html>

ზედსართავ სახელთა სემანტიკური ჯგუფები თანამედროვე ქართულ ენაში

ელენე ქადაგიშვილი

დოქტორანტი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით, ზედსართავი სახელი უნივერსალური კატეგორიაა და ზედსართავ სახელთა კლასი, განსხვავებული არსებით სახელთა და ზმნების კლასისაგან, ყველა ენაში უნდა გამოიყოფოს.

ზედსართავ სახელთა კლასის თავისებურებათა გათვალისწინებით, თანამედროვე ტიპოლოგიაში ენათა 4 ძირითადი ტიპი გამოიყოფა. ეს ტიპები უმთავრესად განისაზღვრება იმის მიხედვით, ზმნასთან ავლენს ზედსართავი სახელი სიახლოვეს, თუა რსებით სახელთან:

- გვაქვს ენათა დიდი რიცხვი, რომლის ზედსართავი სახელები არიან ზმნის მსგავსი, მაგრამ არსებითი სახელის არამსგავსი;
- დიდი რიცხვი ენებისა, რომლის ზედსართავი სახელები არიან ზმნის არამსგავსი, მაგრამ არსებითი სახელების მსგავსი;
- ენები, რომლის ზედსართავი სახელები არიან როგორც ზმნის, ისე არსებითი სახელის მსგავსიც;
- ენები, რომლის ზედსართავი სახელები არიან როგორც ზმნის, ისე არსებითი სახელის არამსგავსი (R. M. W. Dixon, A. Y. Aikhenvald, 2005).

გარდა ამისა, შესწავლილია ზედსართავ სახელთა სემანტიკური მხარე და გამოყოფილია 4 ბირთვული სემანტიკური ჯგუფი ზედსართავი სახელებისა. ესენია:

1. ზომის – „დიდი“, „პატარა“, „გრძელი“, „მაღალი“, „მოკლე“, „ღრმა“ და ა.შ.;

2. ასაკისა – „ახალგაზრდა“, „მოხუცი“, „ახალი“ და ა.შ.;

3. ღირებულება/შეფასების – „კარგი“, „ცუდი“, „შესანიშნავი“, „საშინელი“, „ნამდვილი“ და სხვ.;

4. ფერის – „შავი“, „თეთრი“, „წითელი“ და სხვ.

დამატებით სხვა სემანტიკური ჯგუფებიც შეიძლება გამოიყოს ენებში შედარებით მრავალრიცხოვანი ზედსართავი სახელების არსებობის პირობებში.

კვლევა გულისხმობს ქართული ენის ზედსართავ სახელთა შესწავლას ტიპოლოგიური თვალსაზრისით: ზედსართავ სახელთა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფას და საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით, მიმართების დადგენას ზოგადტიპოლოგიურ მონაცემებთან.

კვლევა მიზნად ისახავს ზედსართავი სახელების სრულად მოძიებასა და ამოკრებას ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან (8-ტომეული), შემდეგ კი მათ სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებად კლასიფიკაციას.

ქართულ ენაში გამოიყოფა ზედსართავ სახელთა ოთხი ბაზისური სემანტიკური ჯგუფი, რომელთა გამოყოფა ყველა ენაშია შესაძლებელი. ესენია: ზომის, ასაკის, შეფასებისა და ფერების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.

ამის გარდა შესაძლებელია სხვა დამატებითი ჯგუფების გამოყოფაც. ესენია: *ფიზიკური მახასიათებლების, გარეგნული მახასიათებლების, ადამიანის ხასიათის აღმნიშვნელი, სიჩქარის აღმნიშვნელი, სირთულის აღმნიშვნელი, მსგავსების, კვალიფიკაციისა, რაოდენობისა, პოზიციის და არაცოცხალის მახასიათებლის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები.*

მთლიანობაში შესაძლებელია 14 სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა.

ტიპოლოგიურად გამოყოფილი სემანტიკური ჯგუფებიდან ქართულში ყველა მათგანი მოიძებნება. ამასთანავე, ქართულში შესაძლებელია დამატებით სხვა სემანტიკური ჯგუფების გამოყოფა.

ფაც, რომლებიც ტიპოლოგიურად არ დასტურდება სხვა ენებში. ასეთი ჯგუფებია: გარეგნული მახასიათებლების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები და არაცოცხალის მახასიათებელი ზედსართავი სახელები.

ენობრივი კოდის ცვლა კერძო ობიექტთა სახელების მიხედვით

ნინო ზედგენიძე

ბაკალავრიატი, IV კურსი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ენობრივი კოდის ცვლა, ჟარგონი, სასაუბრო ენა, სალიტერატურო ენა, სახელების პრობლემა

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ენობრივი კოდის ცვლა – ეს არის ენათა ურთიერთგავლენის შედეგად წარმოქმნილი ენობრივი მოვლენა, რომელიც ენათა ურთიერთგავლენით გამოწვეული ენობრივი ცვლილებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია საზოგადოების დამოკიდებულება ენობრივი კოდის ცვლის მიმართ. ცვლილებები ამა თუ იმ ენაში, იქნება ეს შინაგანი თუ გარეგანი სახის, ანუ სხვა ენის განდევნით განპირობებული, თავდაპირველად სასაუბრო ენაში შემოდის და თანდათან მკვიდრდება სალიტერატურო ენაშიც. ქართულ სალიტერატურო ენაში კი ეს არ მოხდა, რისი მიზეზიც არა ენის განვითარების კანონზომიერებებში, არამედ საზოგადოების დამკვიდრებულ აზრში უნდა ვეძიოთ: ენობრივი კოდის ცვლა სალიტერატურო ენაში „ბარბარიზმად“ და გაუხანალებლობად ითვლება, მაშინ, როდესაც ჟარგონსა და სასაუბრო ენაში ეს მოვლენა პირიქით, „განათლებულობად“ მიიჩნევა.

მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი კოდის ცვლა, უპირველეს ყოვლისა, საუბარში, ანუ სასაუბრო ენაში ჰპოვებს გამოყენებას, ამ ბოლო დროს იგი ხშირად შეიმჩნევა ჟურნალ-გაზეთების, სასტუმროების, კაფე-რესტორნების, კვების ობიექტების, მაღაზიებისა

და სხვათა დასახელებებში. ამჯერად, ჩვენ გადავწყვიტეთ, ყურადღება გავამახვილოთ კაფე-ბარებისა და რესტორნების სახელწოდებებზე, სადაც ნათლად ჩანს ეს პრობლემა.

თბილისში მომრავლდა ინგლისური, ფრანგული, იტალიური, ჩინური დასახელებების კაფე-რესტორნები. რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა ინგლისური დასახელებების მქონე კვების ობიექტები: **არტ კაფე ჰოუმ, ქიფ ქალმ თბილისი, ეკო გარდენი, ანტიკაფე თბილისი, ფორ სეზონი, რედ კაფე დაინინგი, კაფე ვერდე, ფრენდს ჰაუს რესტორანი, არტ კაფე თბილისი ბრანჩი, ფიფლზ, სითიზენ, კაფე რესტორანი** და უამრავი სხვა; გვხვდება ფრანგული დასახელების მქონე კაფე-რესტორნებიც: **ფრაგოლა, კაფე ლა ფრანსი, ფრანგული საკონდიტრო „ლე გატო“, ლე მარი;** ვხვდებით იტალიურ დასახელებებსაც: **პრეგო, ლოკალინო, პიანო** და ა.შ.

ყველა ზემოთ დასახელებულ რესტორნსა თუ კაფე-ბარს ქართულ ენაზე აქვს შესაბამისი შესატყვისი. სასურველი იქნებოდა, მათ მეპატრონეებს ეფიქრათ და დასახელებები ქართული აერჩიათ; ამის პარალელურად არსებობს ისეთი კერძო ობიექტები, რომლებიც მსოფლიო ბრენდური სახელწოდებებია, და ისინი არ უნდა ითარგმნებოდეს სხვა ენაზე.

უცხოური სახელწოდებების პარალელურად თბილისში საკმაოდ ბევრია საკუთრივ ქართული დასახელების მქონე კაფე-რესტორნები: **შხარა, ჩირალდანი, შემოიხედე გენაცვალე, კერია, ვეფხი და მოყმე, ნისქვილი, თავადური, ბალადა** და მრავალი სხვა.

ჩვენი დაკვირვებით, თბილისში არსებული რესტორნების 70%-ს აქვს ქართული დასახელება, რასაც ვერ ვიტყვით კაფე-ბარებზე. ეს ტენდენცია ალბათ გამომდინარეობს კვების ობიექტების დანიშნულებიდან.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას ქართული ენის ფუნქციონირების საკითხის რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა. ეს პრობლემები დეტალურად განხილულია მოხსენებაში.

„გმირი და ანტიგმირი ანგლოსაქსურ ლიტერატურაში“

დალი ჩარეჯაშვილი

ბაკალავრიატი, IV კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: გმირი, ანტიგმირი, ბეოვულფი, გრენდელი, დრაკონი

- ესე ეხება გმირისა და ანტიგმირის სახეებს ადრეული შუა საუკუნეების ლიტერატურაში, რომლებსაც ძველი ანგლოსაქსური ეპოსის, „ბეოვულფის“ მაგალითზე განვიხილავ;

- ტრადიციულად, მკვლევარები და კრიტიკოსები „ბეოვულფს“ მიიჩნევენ ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ანგლოსაქსურ ტექსტად, რომელიც მხოლოდ ენობრივი და სტილისტური კვლევის მიმართულებით არის საინტერესო;

- თუმცა ამ ნაშრომში განვიხილავ უფრო თანამედროვე, განსხვავებულ მიდგომას, რომელიც ამ ეპოსს კულტურულ და ლიტერატურულ ქრილში იაზრებს და სრულიად განსხვავებული სახით წარმოაჩენს გმირისა და ანტიგმირის ტრადიციულ არქეტიპებს;

- ნაშრომში განხილულია ის კულტურული და ისტორიული მახასიათებლები და ასპექტები, რომლებიც საფუძვლად უდევს ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ კი ანგლოსაქსურ სამყაროში გმირისა და ანტი-გმირის შექმნას.

ნაშრომი ასევე მოკლედ განიხილავს გმირისა და ანტიგმირის შუა საუკუნეებრივი გააზრების ტრანსფორმაციას თანამედროვე სამყაროში.

სიტყვა, როგორც მასალა, გალაკტიონის ხელში

გიორგი კახიშვილი

ბაკალავრიატი, II კურსი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონი, ბგერწერა, ფონეტიკა, ქარი ჰქერის

რა განაპირობებს ამა თუ იმ პოეტის გენიალობას? რა არის საჭირო იმისათვის, რომ მისი შემოქმედების გენიალობა საქვეყნოდ იქნეს აღიარებული? ხელოვნების ამ ასპექტზე საუბრისას განსაკუთრებით ყურადსაღებია ვის მიერ ხდება ხელოვანის აღიარება – მხოლოდ რამდენიმე ასეული მცოდნე და სწავლული ადამიანის, თუ მთლიანი საზოგადოების მიერ. ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ ხშირად ენაში სწორი ფორმებიც კი (რომ აღარაფერი ვთქვათ სხვადასხვა სახის ცვლილებაზე) ვერიკიდებსფეხს, რადგან საზოგადოება ვერ გუობს მათ. ასევეა ხელოვნების ყველა სფეროში. იმისათვის, რომ ავტორის გენიალობა საქვეყნოდ იქნას აღიარებული, საჭიროა, რომ იგი ყველასთვის გასაგები თუ არა, გარკვეული ნიშნით ყველასთვის მოსაწონი და ახლობელი იყოს.

საეჭვოა ქართულ მინაზე დააბიჯებდეს ადამიანი, რომელსაც ყურმოკვრით მაინც არ გაეგონოს გალაკტიონის სახელი. ყველამ როდი იცის რაში გამოიხატება „პოეტთა მეფის“ გენიალობა, თუმცა მის გენიალობაში ეჭვი, ფაქტობრივად, არავის შეაქვს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ ახერხებდა გალაკტიონი შეექმნა ლექსები, რომლებიც, ამა თუ იმ ნიშნით, ყველასათვის გასაგები, მოსაწონი და ახლობელი ხდებოდა? ამ კითხვის პასუხი უშუალოდ მის ლექსებში უნდა მოვძებნოთ. როგორც ჩანს, გალაკტიონი განარჩევდა მინიმუმ ორი სახის მკითხველს:

არის მკითხველი
მშვენიერ წიგნის
და არის მხოლოდ
გადამკითხველი...

ტექსტში გამოყოფილია მკითხველთა ორი კატეგორია: „მკითხველი“, რომელიც, ავტორისეული მიდგომით, არის მცოდნე, გან-

სწავლული ადამიანი სიღრმეთა თუ მეტაფორათა წვდომის უნარით და „გადამკითხველი“. რთულია ზუსტად განსაზღვრა, თუ როგორ მკითხველს მოიაზრებს გალაკტიონი „გადამკითხველში“, რადგან შესაძლებელია ამ კატეგორიის კიდევ რამდენიმე ქვეკატეგორიად დაყოფა.

თუ გავითვალისწინებთ ქართველთა ორფეულ ბუნებას, ბოლორითმოვანი ლექსისა და სიმღერის სიყვარულს, შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი გულისხმობს ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ ლექსის მელოდიურობით, ევფონიურობით ტკბებიან და მათი წყალობით მიღებული უშუალო ემოციებისა და წარმოდგენების მიღმა არ ეძებენ ღრმა ქვეტექსტს.

გალაკტიონის შემოქმედება გამოირჩევა პოეტური ხატურით, მეტაფორულობით, ღრმა ქვეტექსტებითა თუ ალეგორიებით. ხშირად ამა თუ იმ სტრიქონის აზრი, სათქმელი ბუნდოვანია, თუმცა სურათი, რომელსაც ეს სტრიქონი ქმნის – მეტად იმპულსური და მშვენიერი (მაგ., „და ზამბახების წყებად დაწვენა“). შესაბამისად, სავსებით გასაგებია რატომ და რისთვის შეიყვარა გალაკტიონი „მკითხველმა“, ანუ მცოდნე და განსწავლულმა საზოგადოებამ. საკითხავია, რა ნიშნით შეძლო გალაკტიონმა დაახლოებოდა „გადამკითხველებს“. გალაკტიონის გენიალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან „გადამკითხველთათვის“ ცალკე ლექსების შექმნის ნაცვლად, შექმნა ლექსები, რომლებიც ორივე კატეგორიის მკითხველისათვის ახლობელი და სასიამოვნოა. პირველნი ენაფებიან და ითვისებენ ამ ლექსთა ყველანაირ ღირსებას, მეორენი კი სიამოვნებას მელოდიურობით, ჰარმონიულობითა და ლამაზი, სასიამოვნო ბგერწერით იღებენ.

მოცემულ მოხსენებაში განვიხილავთ, თუ როგორ შეძლო გალაკტიონმა ბგერის, სიტყვის ძალით დაახლოებოდა ნებისმიერ მკითხველს. მისი შემოქმედებიდან მოვიყვანთ განსაკუთრებით მელოდიურ სტრიქონებს და განვიხილავთ მათ ბგერწერულად და ფონეტიკურად. ვისაუბრებთ ისეთ რთულ სალექსო ფორმაზე, როგორიცაა პალინდრომი. აგრეთვე, გალაკტიონის რამდენიმე ოკაზიურ ფორმასაც შევხებით.

მუსიკის ფილოსოფიური კონცეფციები

სოფიო მოდებაძე

ფილოსოფიის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: მუსიკა, მუსიკის რაციონალური კონცეფცია, მუსიკის ირაციონალური კონცეფცია, მუსიკის დეჰუმანიზაცია, პოსტმოდერნული მუსიკა

მუსიკა კაცობრიობის სულიერი მოვლენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არა მხოლოდ ადამიანის სულიერი და ემოციური სამყაროს გამოვლინებას ემსახურებოდა, არამედ თავის საუკეთესო შინაარსში ეძებდა კიდევ უმაღლეს, მეტაფიზიკურ დონეს ან ფენას – რელიგიურს ან ფილოსოფიურს, რომელიც ასახავდა ყოფიერების სულიერ ფორმებს. ამიტომ მუსიკა ყოველთვის იყო ფილოსოფოსთა განსაკუთრებული კვლევის საგანი.

ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში პითაგორას, ჰერაკლიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა კონცეფციებმა დიდი გავლენა მოახდინეს მუსიკალური ესთეტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, შექმნეს ის საფუძველი, საიდანაც მომდევნო საუკუნეებში არა მარტო მუსიკის შედეგები ამოიზარდა, არამედ დადგა მუსიკასა და ფილოსოფიას შორის მიმართების საკითხი.

შუა საუკუნეებში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სასულიერო მუსიკაზე. ამ მხრივ საინტერესოა ავგუსტინეს მოსაზრებები გალობის შესახებ, ასევე იოანე ოქროპირის, დიონისე არეოპაგელის, იოანე პეტრიწის შრომები.

ახალ დროში გერმანულმა ფილოსოფიურმა ესთეტიკამ დიდი წვლილი შეიტანა მუსიკის სტრუქტურისა და დიალექტიკური არსის, მისი სახეობის ახსნა-განმარტებაში. გარდა რაციონალური კონცეფციებისა, მნიშვნელოვანია მუსიკის ირაციონალური კონცეფციები. ამ მხრივ საინტერესოა შოპენჰაუერისა და ნიცშეს შრომები.

განსაკუთრებული სირთულეებით ხასიათდება XX საუკუნე, რადგან სციენტისტური და ტექნიცისტური ტენდენციების გაძლი-

ერების შედეგად მუსიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ხელახლა განესაზღვრათ მუსიკალური ხელოვნების აღქმისა და შეფასების, არსისა და დანიშნულების საკითხი.

განვიხილავთ ს. ლანგერის ესთეტიკურ თეორიას მუსიკის შესახებ, მუსიკის დეჰუმანიზაცია ხოსე ორტეგა ი გასეტის მიხედვით, როგორ და რა სახით გამოვლინდა დეჰუმანიზაციის ტენდენციები მოდერნისტულ და შემდეგ ავანგარდულ მუსიკაში. თ. ადორნოს „ნეგატიურ დიალექტიკას“.

პოსტმოდერნულ ეპოქაში მუსიკა ქაოსის წინაშე აღმოჩნდა, რადგან ტრადიციული მსოფლმხედველობისაგან განსხვავებით, რომელიც იერარქიულ სტრუქტურებს ქმნიდა, პოსტმოდერნის სამყარო გვთავაზობს ქაოტურ მოდელს, სადაც არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი. ყურადღებას ვამახვილებთ პოსტმოდერნულ მუსიკაზე, იმ ძირითად მახასიათებლებზე (ინტერტექსტუალობა, ეკლექტიზმი, პლურალიზმი), რომელიც განსაზღვრავს მუსიკის პოსტმოდერნულ საზრისს. პოსტმოდერნული მუსიკა, რომელშიც ასახვა ჰპოვა პოსტმოდერნული ეპოქისათვის დამახასიათებელმა ნიშან-თვისებებმა, ხასიათდება ანარქიულობით, რომელსაც არ გააჩნია დასაწყისი, კულმინაცია ან ფინალი, რაც მუსიკის გაგების სიძნელეს ქმნის.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მუსიკა სამყაროსთან ურთიერთობის ფორმაა და განიცდის ცვლილებებს სამყაროში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, შესაბამისად, იცვლება მუსიკის აღქმისა და შეფასების სისტემები. თუ ანტიკურ ეპოქაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამყაროს წესრიგს და მუსიკალური ჰარმონია განიხილება როგორც ამ წესრიგის საფუძველი, პოსტმოდერნულ ეპოქაში მუსიკა მიზნად აღარ ისახავს ქაოსის გადაქცევას წესრიგად, არამედ გამოხატავს პოსტმოდერნული სამყაროსთვის დამახასიათებელ ანარქიას. ასეთ პირობებში მუსიკის ფილოსოფიური ასპექტების კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მუსიკის ფილოსოფიურ და ესთეტიკურ კონცეფციას საფუძვლად უდევს სამყაროს წინააღმდეგობათა ონტოლოგიური გადალახვა – სამყაროს ჰარმონიის აღქმა, რომელიც მუსიკალურ პრინციპებს ეფუძნება.

დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში

მარიამ ყაველაშვილი

ბაკალავრიატი, IV კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებას როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად – საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებშიც უზრუნველყოფს. უზენაესი კანონის მეორე თავი ვრცლად მოიცავს მეორე თავის ე.წ. სოციალურ უფლებებს, რომლებიც ძირითადად შრომის, განათლების, ჯანმრთელობის, პირადი ცხოვრებისა და სხვა უფლებებს ეხება. შრომითსამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომლებიც ადამიანის ძირითადი უფლების იდეასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის კონცეფციას ეფუძნება, როგორც ამ უფლების შემადგენელ ელემენტს.

შრომით უფლებათა ერთობლიობა რამდენიმე ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს. სშკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, შრომით და წინასახელმეკრულებო ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილებისა და სხვა შეხედულებების გამო. დისკრიმინაციის აკრძალვის ძირითად წყაროს ქვეყნის უზენაესი კანონის მე-14 მუხლი წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც, თანასწორობის პრინციპი თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში მოითხოვს. სშკ-ის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან ინვესს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით აუარესებს. დისკრიმინაციული ქმედების შეფასებისას ყოველთვის მნიშვნელოვანია „შედარებითი ობიექტის“ არსებობა, ანუ იმის შეფასება, არის თუ არა ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა დასაქმებულთან მიმართებით თანასწორუფლებიანობის დარღვევა.

განასხვავებენ დისკრიმინაციის ორ სახეს – პირდაპირსა და არაპირდაპირს. პირდაპირი დისკრიმინაციაა, როდესაც პირის უფლების დარღვევა გამოხატული ნიშნის მიხედვით ხორციელდება. მაგ., ტექსტი ვაკანსიის განცხადებიდან – „მამაკაცი მასწავლებელი“. არაპირდაპირი დისკრიმინაცია არის ქმედება, რომელიც პირდაპირ აკრძალულ ნიშანზე არ მიუთითებს, თუმცა მისი განხორციელება უშუალოდ დისკრიმინაციული შედეგის დადგომასთანაა დაკავშირებული.

ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის 1973 წლის 28 ივნისის შრომის კანონთა კოდექსი დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხისადმი გულგრილი არ იყო. 2006 წლის შრომის კოდექსით კი თანასწორუფლებიანობის დარღვევა ანაზღაურებისას დაუშვებლად ცნეს. შრომის კოდექსი დისკრიმინაციის დაუშვებლობას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ითვალისწინებდა. იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია კანონში სრულად აისახოს დისკრიმინაციის ამკრძალავი ნიშნები, ამ ჩამონათვალს დაემატა – „ან სხვა შეხედულების გამო“ – რაც, ვფიქრობ, რომ კანონმდებლის გონივრული გადანყვეტილებაა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან გაიმიჯნოს დისკრიმინაცია და ობიექტური გარემოებით განპირობებული დიფერენციაცია. დისკრიმინაცია სახეზეა, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელი და გონივრულ საფუძველს მოკლებულია. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას.

ამგვარად, დისკრიმინაცია არის საკმაოდ კომპლექსური სამართლებრივი საკითხი, რომელიც სხვადასხვა სახით ვლინდება და აქედან გამომდინარე, მასთან ეფექტური ბრძოლა მისი სამართლებრივი ბუნების ზუსტად განსაზღვრას საჭიროებს.

კიბერდანაშაული

ნინო გაგნიძე

ბაკალავრიატი, IV კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ადამიანები, მრავალი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე მიჩვეულნი ვართ, რომ რეალური ობიექტი ის არის, რასაც თავად ხედავ და შეგიძლია შეეხო, მაგრამ დრო იცვლება და ის, რაც წარსულში წარმოდგენილი იყო, დღეს უკვე რეალობაა. კომპიუტერში მიმდინარე პროცესები ჩვენთვის უხილავია, მათი აღქმა კი რთულია და ამან მთელი რიგი პრობლემები შეიძლება წარმოშვას, როგორცაა მაგალითად თანამედროვე მსოფლიოს კომპიუტერული გამოწვევა - კიბერდანაშაული.

კიბერდანაშაული არის დანაშაული, რომელიც ხდება ინტერნეტ სივრცეში, სადაც კომპიუტერი ან მსხვერპლია ან დანაშაულის იარაღი. ინტერნეტის გლობალური ხასიათი საშუალებას აძლევს კრიმინალებს, მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში ჩაიდინონ არაკანონიერი ქმედება. ამის გამო აუცილებელი ხდება ყველა სახელმწიფომ გააძლიეროს შიდა კონტროლი საკუთარ ინტერნეტ სივრცეზე.

სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, კიბერ რისკების რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს და მას სშირად XXI საუკუნის კრიმინალურ ფორმასაც უწოდებენ. თანამედროვე პერიოდში მისი საკმაოდ გავრცელებულ შემთხვევებია: ონლაინ თაღლითობა, კომპიუტერულ სისტემასთან უნებართვო წვდომა, ბავშვთა ონლაინ პორნოგრაფია, კომპიუტერული მონაცემების უნებართვოდ გამოყენება და ა.შ. კიბერდანაშაულის შედეგად შეიძლება დაზარალდეს:

- ინდივიდი – აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს კიბერ გადაკიდებაში, შეურაცხყოფის მიყენებაში და სხვა;

- საკუთრება – ელექტრონული შესყიდვებისა და ბანკინგის მეშვეობით, კიბერ დანაშაულებს წვდომა მისცეს სხვა პირთა ქონებისა და ფინანსებისადმი. მათ თავისუფლად შეუძლიათ მოიპარონ პირის საბანკო მონაცემები ან უბრალოდ დააზიანონ პირადი ინფორმაცია, პროგრამა;

- სახელმწიფო – აღნიშნულს კიბერტერორიზმად მოიხსენიებენ.

წარმატების შემთხვევაში დამნაშავეს შეუძლია დაანგრიოს სახელმწიფო სისტემა და გამოიწვიოს ქაოსი მოქალაქეებში.

ისეთ პატარა ქვეყანაშიც კი, როგორც საქართველოა, ჩვენი ცხოვრება უკვე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინტერნეტ ტექნოლოგიებზე. საქართველოში კიბერდანაშაულის პრობლემატიკა განსაკუთრებით მწვავედ დადგა 2008 წლის მოვლენების შემდეგ, როდესაც მასობრივი კიბერ-შეტევები განხორციელდა სამთავრობო და არასამთავრობო ინტერნეტ რესურსებზე. ქვეყანამ გამოსცადა კიბერ ომი, რითაც საკმაოდ დაზარალდა ეკონომიკური სისტემა. საქართველო 2008 წლის შემდეგ მონაწილეობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში, კერძოდ, ის გახდა ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის წევრი, ამით ჩვენმა სახელმწიფომ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობისაკენ. ასევე აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის ტრენინგები იმ სისტემებისა და მოქალაქეების დასაცავად, რომლებიც აქტიური ინტერნეტ მომხმარებლები არიან.

ინტერნეტი უსაზღვრო სივრცეა, ადამიანის გონება კი საკმაოდ გამჭრიახი, რომ შექმნას დანაშაულის ჩადენის ახალი ხერხები, ამიტომ ეს გამჭრიახობა უნდა გამოვიყენოთ სამართლებრივი და მარეგულირებელი მექანიზმების განვითარებისათვის, რათა შევძლოთ კიბერდანაშაულის ეფექტურად გაკონტროლება და პრევენცია. საფრთხე, რომელსაც ეს გლობალური ქსელი ქმნის, რეალურია. ახლა კი ჩვენი გადასაწყვეტია, გავითვალისწინებთ მსოფლიოში არსებულ რეკომენდაციებს თუ კიბერ კრიმინალთა მსხვერპლი გავხდებით.

საქორწინო ხელშეკრულება

სოფიო კოკაია

ბაკალავრიატი, IV კურსი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ქორწინება არის ბუნებრივად წარმოშობილი ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს ცივილიზებული საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისად, მისი სამართლებრივი ბუნება არაერთი საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტითაა რეგულირებული. 1948 წლის 10 დეკემბრის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტები „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“ და „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ – ეს ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებია, რომლებიც აღიარებენ, რომ თითოეულმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის ინსტიტუტის განვითარებას, რადგან მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოების განვითარებისათვის.

რაც შეეხება საქართველოს, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, „ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი“. შესაბამისად, იგი არის ოჯახის საფუძველი და წარმოადგენს პირთა სულიერ, ზნეობრივ, პირად და ქონებრივ ურთიერთობათა გაერთიანებას. გასაკვირი არ არის, რომ ქორწინების არსი, ასევე, განმტკიცებულია ქვეყნის უზენაეს კანონში – საქართველოს კონსტიტუციაში: „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“.

მიუხედავად ქორწინების დიდი მნიშვნელობისა, გვერდს ვერ ავუვლით სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ქორწინებათა 50% განქორწინებით სრულდება. თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობა ქორწინებას ბედნიერი ოჯახის აუცილებელ წინაპირობად არ განიხილავს და თვლის, რომ თანაცხოვრების არსი ურთიერთგაგებაში, საერთო ინტერესების ქონასა და ერთმანეთის პატივისცემაშია. შესაბამისად, სულ უფრო აქტიური ხდება მეუღლეთა შორის როგორც ქონებრივი, ასევე, პი-

რადი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება, რის საშუალებასაც იძლევა საქორწინო კონტრაქტი.

საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეებს შორის ნებაყოფლობით იდება და მისი მიზანია მხარეთა ქონებრივი თუ პირადი ხასიათის უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქორწინო კონტრაქტს მხოლოდ ქონებრივ ურთიერთობათა მონესრიგების შესაძლებლობას ანიჭებს, თუმცა ვფიქრობ, მეუღლეებს უნდა შეეძლოთ საქორწინო კონტრაქტში არა მხოლოდ ქონებრივი, არამედ პირადი ხასიათის ურთიერთობების მომნესრიგებელი დებულებების გათვალისწინებაც.

აღსანიშნავია, რომ საქართველო არ გამოირჩევა ქორწინების ხელშეკრულების დადების სიხშირით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1997 წლიდან დღემდე დაახლოებით 320 მსგავსი კონტრაქტი გაფორმდა, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ცოტაა, განსაკუთრებით კი ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ვფიქრობ, ამის მიზეზი საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონეა. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა არც კი იცის საქორწინო კონტრაქტების დადების შესაძლებლობის შესახებ, ნაწილი კი მეუღლეების მიერ საქორწინო კონტრაქტის გაფორმებას ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გამოხატვად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ქორწინების დასაწყისშივე განქორწინების შედეგებზე არ უნდა ფიქრობდეს. სინამდვილეში კი საქორწინო ხელშეკრულება საშუალებას იძლევა სერიოზული და მტკივნეული საკითხები პრაგმატულად და უმტკივნეულოდ გადავწყვიტოთ.

ნებისმიერი კანონმდებლობა ქვეყნის მოსახლეობის ტრადიციებისა და დამოკიდებულებების გამოძახილია. შესაბამისად, იმისათვის, რომ საქორწინო კონტრაქტი საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი გახდეს, საჭიროა საზოგადოების ინფორმირებულობა ამ ინსტიტუტის შესახებ, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტების საჯაროდ განხილვა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებას საქორწინო ხელშეკრულებების მიმართ ნდობას გაუჩენს. დროთა განმავლობაში მოსახლეობა მივა იმ დასკვნამდე, რომ განქორწინებისას, საქორწინო ხელშეკრუ-

ლების არსებობის შემთხვევაში, მეუღლეები გაცილებით ნაკლებ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს განიცდიან.

ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები

მარიამ კურტანიძე

ბაკალავრიატი, III კურსი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ხელშეკრულება, კონტრაჰენტი, კონტრაჰირების იძულება, მართლწესრიგი, თავისუფალი ნება

სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლების განსაზღვრისთვის განვიხილოთ ხელშეკრულების არსი და პირობები კერძოსამართლებრივ პრინციპებთან და სამოქალაქო კოდექსთან მიმართებით.

„ხელშეკრულება კანონის საფუძველზე იდება, შესაბამისად, მას კანონის ძალა აქვს, რომლის ფარგლებშიც მხარეს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების ვალდებულება წარმოეძობა“ (ჯორბენაძე 2017: 60). არსებობს ხელშეკრულების რამდენიმე სახე და თითოეული მათგანი ადამიანის თავისუფალ ნებას ეფუძნება. ხელშეკრულების თავისუფლება თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების წინაპირობაა. სამოქალაქო კოდექსი მხარეებს აძლევს ნებას, აირჩიონ ხელშეკრულების ტიპი და კონტრაჰენტი და განსაზღვრონ მისი შინაარსი. თუმცა კანონით განერილია ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის კერძოსამართლებრივი პრინციპების დარღვევის პრევენციის მიზნით.

კონტინენტური ევროპის, აზიისა და საერთო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვს. ქართულ სამართალში, გერმანულის მსგავსად, კონტინენტური ევროპისა და საერთო სამართალთან შედარებით,

უკეთ არის მონესრიგებული ხელშეკრულების თავისუფლება კანონთან, საჯარო წესრიგსა და ზნეობასთან მიმართებით.

მიუხედავად მხარეთა ნების თავისუფლად გამოხატვის უფლებისა, აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს. კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების დაცვისთვის აუცილებელი ხდება ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ ფარგლებში მოქცევა და გარკვეულწილად შეზღუდვაც, რომლის კარგი მაგალითიცაა კონტრაჰირების იძულება. კონტრაჰირების იძულებისას მხარეთა თანასწორობა სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის უპირველესი საფუძველია, რამდენადაც კონტრაჰირების იძულებისას ბაზარზე გაბატონებული სტატუსის მქონე პირი პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ხელშეკრულების დადების ვალდებულებითაა შებოჭილი. კონტრაჰენტის იძულება დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და მხარეს უფლებრივად ბოჭავს კონტრაჰენტის არჩევაში, ხელშეკრულების შინაარსი კი არაგონიერულობის შემთხვევაში იბოჭება.

მხარეები დადებული ხელშეკრულებით თვითონვე ადგენენ მის ფარგლებს, რამდენადაც ისინი შებოჭილები არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებით, ხოლო სამოქალაქო კოდექსში კანონმდებელი აღიარებს ზიანის ანაზღაურების მონესრიგებულ დათქმას, 395-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით.

დემოკრატიული სახელმწიფოსთვის აუცილებელია როგორც თავისუფალი ნების გამოვლენა, ისე მისი საზღვრების დადგენა. ხელშეკრულების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა მიმართულია მართლწესრიგისა და თანასწორუფლებიანობისკენ.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

ანა მაისურაძე

ბაკალავრიატი, IV კურსი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმია, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 15 ნოემბერს. ამ ინსტიტუტის შემოღებით მოხდა პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ნასამართლევ, პირობით მსჯავრდებულ პირთა და პატიმართა რაოდენობის შემცირება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანების შესაბამისად, განრიდებისა და მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადანყვეტილება და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. მხარეები უფლებამოსილი არიან ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვან განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, პროკურორს აქვს შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, თუ ის აღიარებს დანაშაულის ჩადენას, მზად არის ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს, ასეთის არსებობის შემთხვევაში და აანაზღაუროს ზიანი.

განრიდების შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი უკავშირდება სოციალურ მუშაკს და გადასცემს არასრულწლოვნის საქმეს. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის ბიოფსიქოსოციალურ პორტრეტს, რის საფუძველზეც განისაზღვრება, თუ რომელი პირობის შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაციას. ამის შემდეგ, მედიაციის ფარგლებში, რაც

აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტებს მოიცავს, მხარეები შეთანხმდებიან სამოქალაქო ხელშეკრულებაზე, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, დაზარალებული, სოციალური მუშაკი და პროკურორი.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. თუმცა შესაძლოა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება. პროგრამა საქართველოსთვისაა შექმნილი, სამართლებრივი წინამორბედი არ ჰყავს და, უდავოდ, ეფექტური საშუალებაა არასრულწლოვნის მართლმშენების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და დაზარალებულის დაკმაყოფილების თვალსაზრისით. რასაც მოწმობს შემდეგი სტატისტიკა: განრიდებული 715 არასრულწლოვნიდან, განრიდების ხელშეკრულების მოქმედების დროს ახალი დანაშაული ჩაიდინა მხოლოდ 11-მა.

განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავესა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულა დანაშაულის პრევენციაზე, არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის, გაჯანსაღებაზე.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

Digitalisferrugenea L. პერიკარპიუმის **ფენილეთანოიდური გლიკოზიდები**

თამარ კოპალიანი

დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ვაჟა ნებიერიძე

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

გულის უკმარისობისათვის შეუცვლელ სამკურნალო საშუალებებს საგულე გლიკოზიდები და მათ შორის უმნიშვნელოვანესს *Digitalis* – სათითურას კარდენოლიდები წარმოადგენენ, რომლებიც თითქმის 2,5 საუკუნის განმავლობაში წარმატებით გამოიყენებიან მედიცინაში. *Digitalis* გვარის (ოჯახი Scrophulariaceae) 40-მდე მცენარიდან საქართველოში იზრდება კავკასიის ენდემური სახეობა *Digitalis ciliata* Trautv. – წამწამოვანი სათითურა, *D. ferrugenea* L. – ჟანგოვანა სათითურა, მცირე რაოდენობით *D. nervosa* Steud et Hochst და *D. schischkinii* Ivanina. წამწამოვანი სათითურა კავკასიის ქედსა და მის განედებზე დიდ მასივებს ქმნის, იგი საუკეთესო სამკურნალწამლო ნედლეული აღმოჩნდა და გამოყენება ჰპოვა სამედიცინო პრაქტიკაში.

D. ferrugenea L. – ჟანგოვანა სათითურა მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სწორი მარტივი 40-150 სმ სიმაღლის ღეროთი და მორიგეობით განწყობილი 15-30 სმ სიგრძის ლანცეტი-სებრი ფოთლებით, ხშირად ჟანგისფერი ლაქებით, მტევნად შეკრული ხშირი ყვავილით. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის მხარეში, მცირე აზიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კავკასიაში. საქართველოში იზრდება შუა ქართლში, მთიანეთში, გარე კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში, სუბ-

ალპურ ზონაში, უმეტესწილად ნიფლნარ და მუხნარ ღია და დაჩრდილულ ტყეებში.

გასული საუკუნის 30-40 წლებში ფრმაკოქიმიის ინსტიტუტში პროფესორ ნიკოლოზ მასხულიამ *D. ferrugenea*-ს ფოთლებიდან შეიმუშავა შვეიცარიული ფირმა Hoffman La Roch-ის მიერ წარმოებული Digalen-ის ანალოგიური პრეპარატი და მისგან განსხვავებით Digalen-neo უწოდა. Digalen-neo-ს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა აწარმოებდა და პროდუქცია მთელ საბჭოთა კავშირს აკმაყოფილებდა.

D. ferrugenea L. კარდენოლიდები პირველად 1952 წელს Stoll და Renz-მა შეისწავლეს. *D. Ferrugenea*-დან 45-მდე სხვადასხვა აგლიკონის წარმოებული გლიკოზიდი იქნა გამოყოფილი და დახასიათებული. ნაჩვენები იყო, რომ სხვადასხვა რეგიონში მოზარდი მცენარე ქიმიური შედგენილობით განსხვავდება ერთმანეთისგან.

ჩვენს მიზანს საქართველოში მოზარდი *D. ferrugenea*-ს ქიმიური შედგენილობის შესწავლა შეადგენდა. მცენარე დიდი რაოდენობით ივითარებს თესლებს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას შეუცვლელი ბიოქიმიური რეაქტივის დიგიტონინის მისაღებად. თესლებიდან დიგიტონინის წარმოების დროს გამოუყენებელი რჩება ნაყოფსაფარის – პერიკარპიუმის დიდი მასა.


ჩვენი კვლევა *D. ferrugenea* L. – პერიკარპიუმის შესწავლას ეძღვნება. ნაყოფები შეგროვებულ იქნა დაბა ბაკურიანში 2015 წლის სექტემბერში.

200 გ ჰ/მ დანვრილმანებულ პერიკარპიუმს სამჯერადად ვწვლილავდით 80% მეთანოლით თანაფარდობით 1:5 წყლის აბაზანაზე გათბობით. სპირტის მოცილების შემდეგ წყლიან ხსნარს ვასუფთავებდით ქლოროფორმით და გადაგვქონდა Diaion HP-20 სვეტზე. ელუირებას ვახდენდით H₂O-MeOH – 10:0→0:10 სისტემით. შედეგად, მიღებულ იქნა 4 ფრაქცია ამორფული ფხვნილის სახით: წყლიანი, 30% MeOH, 80% MeOH და MeOH. 30% მეთანოლიანი ელუატის ქრომატოგრაფირებით ჯერ Sephadex LH-20-ის, ხოლო შემდეგ სილიკაგელის სვეტებზე მივიღეთ 3 ინდივიდუალური ნივთიერება.

ნივთიერებათა სტრუქტურები დადგინდა ერთ- და ორგანზომილებიანი NMR (¹H, ¹³C, HSQC, HMBC, COSY) და მას-სპექ-

ტროსკოპის (ESI/MS) გამოყენებით. ერთი მათგანი(1) ახალი ორგანული ნივთიერებაა, ხოლო ორი დანარჩენი იდენტიფიცირებულ იქნენ, როგორც მაქსოზიდი (2) და პურპურეაზიდი E (3).

ნივთიერება 1 ყვითელი ამორფული ფხვნილია. $^1\text{H-NMR}$ სპექტრში აღინიშნება 1,3,4-ჩანაცვლებული ბენზოლის ბირთვის δ 7.21, 7.10, 6.80, ტრანს-ორჩანაცვლებული ორმაგი ბმის δ 7.67 და 6.42 სიგნალები, რომლებიც მიუთითებენ 3-მეთოქსი,4-ოქსიფენილეთილენის – ფერულის მჟავის ნაშთის არსებობაზე. $^1\text{H-NMR}$ სპექტრის სიგნალები δ 6.73, 6.83 და 6.70 1,3,4-ჩანაცვლებული ბენზოლის ბირთვის, ხოლო ორი მეთილენის პროტონის δ 4.00-3.75 და 2.83 კი ფენილეთილის ნაშთის არსებობის მაჩვენებელია. მეთოქსი ჯგუფების მდებარეობა აცილურ და აგლიკონის ნაშთების C(3''') და C(3) ნახშირბად ატომებთან დადგინდა HMBC სპექტრის კორელაციური პიკებით δ 3.89 (MeO-C(3'''))/ δ 149.1 C(3''') და δ 3.82 (MeO-C(3))/ δ 147.0 C(3)). შაქროვანი ნაწილის $^1\text{H-NMR}$ სპექტრში, აღინიშნება ოთხი ანომერული პროტონის δ 4.65, 4.64, 4.54, 4.51 და ერთი მეთილის ჯგუფის δ 1.21 სიგნალები. $^1\text{H-}^1\text{H COSY}$, HSQC და HMBC სპექტრებით შესაძლებელი გახდა ნივთიერება 1-ის ყველა პროტონის და ნახშირბადის ქიმიური ძვრადობის აღწერა (ცხრილი 1). HMBC სპექტრში კორელაციური პიკები ანომერულ პროტონებსა და გლიკოზირებულ ნახშირბადებს შორის δ 4.65 (H-C(1''))/ δ 81.1 C(3'), δ 4.64 (H-C(1''))/ δ 67.2 C(6') და δ 4.54 (H-C(1''))/ δ 82.3 C(2') ადასტურებენ მონოსაქარიდების რაოდენობას და ჩანაცვლების პოზიციას.



ფერუგოზიდი A

ნივთიერება **1**-ისთვის დადგინდა სტრუქტურა: 2-(3-მეთოქსი,4-ჰიდროქსიფენილ)ეთილ O-β-D-გლუკოპირანოზილ-(1→3)-O-[α-L-რამნოპირანოზილ-(1→6)]-[α-L-არაბინოპირანოზილ-(1→2)]-4-O-(E)-ფერულოილ-β-D-გლუკოპირანოზიდი. იგი ლიტერატურაში არ არის აღწერილი, ახალი ორგანული ნივთიერება გახლავთ და **ფერუგოზიდი A** ეწოდა.

ამგვარად, ჩვენს მიერ პირველადაა შესწავლილი *D. ferruginea*-პერიკარპიუმის ქიმიური შედგენილობა. ასევე, პირველადაა იზოლირებული და იდენტიფიცირებული ფენილეთანოიდური გლიკოზიდები, რომელთაგან **1** ახალი ორგანული ნივთიერებაა.

ურანგო ტაბლო კალკულუსის გამოყენება სემანტიკურ ქსელში

ლია კურტანიძე

დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

დიდხნიანი სტაგნაციის შემდეგ ტაბლოზე დაფუძნებული მსჯელობის მეთოდები გახდა პოპულარული სემანტიკური ვების განვითარების პარალელურად. სახეობათა ლოგიკის ყველა ძირითადი გამოყვანი სისტემა (მაგ. Racer, FaCT++, Pellet, და ა.შ.) იყენებს ტაბლოს, როგორც მსჯელობის მთავარ მეთოდს.

ტაბლო კალკულუსი დაფუძნებულია უარყოფის დაშვების პრინციპზე. როდესაც მოცემულია ფორმულა, დაფუძნებით მის უარყოფას და განსაზღვრული წესების შესაბამისად დავშლით ქვეფორმულებად. ამ დაშლისას წარმოიქმნება ფორმულათა ხე. თუ ამ ხის ყოველი ტოტი დახურულია (ნიშნავს, რომ ტოტი შეიცავს საპირისპირო ფორმულებს), მაშინ მოცემული ფორმულა არის ჭეშმარიტი. ტაბლოს მთავარი უპირატესობა სხვა მეთოდებთან მიმართებაში არის ის, რომ ის გვაძლევს მოდელს შესრულებადი ფორმულისათვის, ან კონტრ-მაგალითს მცდარი ფორმულისათვის.

ლიტერატურაში გვხვდება ტაბლო კალკულუსის მრავალი მოდიფიკაცია. ეს მოიცავს ტაბლო კალკულუსს ინტუიციონისტური, მოდალური, არამონოტონური, სუბსტრუქტურული, მრავალმნიშვნელობიანი და სხვა ლოგიკებისათვის. წინა შრომებში ჩვენ განვსაზღვრეთ ტაბლო კალკულუსი ურანგო ლოგიკისათვის. ამ მოხსენებაში ჩვენი მიზანია მისი პრაქტიკული გამოყენების დემონსტრირება.

ურანგო თერმები არის პირველი რიგის თერმები, რომლის ფუნქციონალურ სიმბოლოებს არ აქვთ ფიქსირებული ადგილიანობა: ერთიდაიგივე სიმბოლოს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა არგუმენტების რაოდენობა სხვადასხვა ადგილებზე და ერთი და იგივე ცვლადები (მიმდევრობით ცვლადები) შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც ურანგო თერმების სასრული (შეიძლება ცარიელი) მიმდევრობა. აღსანიშნავია, რომ ურანგო თერმების უნი-

ფიკაცია არაგაჩერებადია, ვინაიდან მათ აქვთ უსასრულოდ ბევრი უნიფიკატორი.

უკანასკნელ წლებში მიმდევრობათა ცვლადების გამოყენებადობა დადასტურებულია ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა XML დოკუმენტები, ცოდნის წარმოდგენა, ავტომატური მსჯელობა, გადაწერა, ფუნქციონალური პროგრამირება და სხვა.

ამ მოხსენებაში წარმოვადგენთ ტრადიციული ტაბლო გამოყვანის სისტემის გაფართოებულ ვერსიას ფორმულებისათვის, რომლებიც აგებულია ურანგო თერმებით. ურანგო უნიფიკაცია გამოყენებულია როგორც ტოტების დახურვის მექანიზმი. იგი არჩევს თერმებს კვანტორების დაშლის წესებში ჩანაცვლებისათვის. ჩვენ ვაჩვენებთ ამ გაფართოებული მეთოდის პოტენციალს სემანტიკურ ვებთან დაკავშირებულ მაგალითზე. ასეთ შემთხვევებში ურანგო თერმების უნიფიკაციის პრობლემა დაიყვანება შეთანადების პრობლემაზე, რომელიც უნიფიკაციისაგან განსხვავებით გაჩერებადია. ბოლოს, ჩვენ ვაჩვენებთ ამ მეთოდით მსჯელობის შესაძლებლობას სემანტიკურ ვებში, თუმცა არ გამოვიყენებთ სემანტიკური ვების რომელიმე კონკრეტულ ენას.

ქართული ტექსტების ავტომატური ინტელექტუალური კლასიფიკაციის მეთოდები და ინსტრუმენტები

კონსტანტინე დემურჩევი

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, ქართული ტექსტების ავტომატური კლასიფიკაცია, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსი

2017 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა სადოქტორო თემა „ქართული ტექსტების კლასიფიკაციის მეთოდები და ინსტრუმენტები“ (დოქტორანტი – კონსტანტინე დემურ-

ჩვეი, სამეცნიერო ხელმძღვანელი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორი და ხელოვნური ინტელექტის დეპარტამენტის პროფესორი კონსტანტინე ფხაკაძე).

ამასთან, ეს ახლად ამოქმედებული სადოქტორო თემა, რომელიც ძირეულად ეყრდნობა სტუ ქართული ენის ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ [1] ორწლიანი ქვეპროექტის „კიდევ ერთი ნაბიჯი მოსაუბრე ქართული თვითგანვითარებადი ინტელექტუალური კორპუსისაკენ“ ფარგლებში ფხაკაძის ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე [2] დაყრდნობით უკვე შემუშავებულ ქართულ ინტელექტუალურ ვებ-კორპუსს [3], სხვა სიტყვებით, ქართული ჭკვიანი კორპუსის პირველ საცდელ ვერსიას (<http://corpus.ge/>), მიზნად ისახავს სხვადასხვა მახასიათებლებით ქართული ტექსტების ავტომატური ინტელექტუალური კლასიფიკაციის თეორიული მეთოდებისა და კომპიუტერული ინსტრუმენტების შემუშავებას, რითაც ის მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება ქართული ენის სრული ტექნოლოგიური დამუშავებისა და, შესაბამისად, ქართული ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიზნით გრძელვადიანი პროექტის „ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი“ ფარგლებში 2012 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევებისა [4].

ამგვარად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოხსენებისას, მოკლედ იქნება მიმოხილული სადოქტორო თემის „ქართული ტექსტების კლასიფიკაციის მეთოდები და ინსტრუმენტები“ სასაფუძვლო შედეგები, მისაღწევი მიზნები და, ასევე, ის უპირატესობები, რაც კვლევით დასახული მიზნების მიღწევის შემთხვევაში ქართულ კულტურულ სივრცეს მიეცემა დღეს უკვე კარს მომდგარ და სანახევროდ უკვე ამოქმედებულ ციფრულ ეპოქაში.

ლიტერატურა:

1. კ.ფხაკაძე: ქართული ენის ტექნოლოგიური ანბანი – XXI საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი ქართული გამოწვევა, საპარლამენტო კონფერენციის „ქართული ენა – 21-ე საუკუნის გამოწვევები“ შრომები, 95-102, 2013.

2. კ. ფხაკაძე, მ. ჩიქვინიძე, გ. ჩიჩუა, დ. კურცხალია, ა. მასხარაშვილი: ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა: საფუძვლები და გამოყენებები – I ნაწილი, ჟურნალი „ქართული ენა და ლოგიკა“, N9, (2015-2016), 4-128.
3. კონსტანტინე ფხაკაძე, მერაბ ჩიქვინიძე, გიორგი ჩიჩუა, დავით კურცხალია, ინეზა ბერიაშვილი, შალვა მალიძე, ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები, გამოიქცა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ დამატების სახით, 4-320, 2017.
4. კონსტანტინე ფხაკაძე, მერაბ ჩიქვინიძე, გიორგი ჩიჩუა, დავით კურცხალია, მივხედოთ ქართულ ენას!, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 149-158, (N1), 2016.

**ციფრული კვდომის საფრთხისგან ქართული და
აფხაზური ენების დაცვის მიზნები და ქართული
უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის საცდელი ვერსია**

შალვა მალიძე

დოქტორანტი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართული ენის
ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი*

დავით კურცხალია

მაგისტრანტი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართული ენის
ტექნოლოგიების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი*

მერაბ ჩიქვინიძე

აკადემიური დოქტორი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქართული ენის
ტექნოლოგიების ცენტრი*

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, ქართული და აფხაზური ენები, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკა, ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსი

მოხსენებისას მეტა-ქსელის (<http://www.meta-net.eu/>) კვლევის „ევროპის ენები ციფრულ ეპოქაში“ (<http://www.meta-net.eu/whitepapers/overview>) შედეგებისა და ქართული ენის ტექნოლოგიური მხარდაჭერის

გათვალისწინებით დასაბუთებულად წარმოვაჩინეთ იმ ციფრული კვდომის საფრთხის რეალურობას, რომლის წინამეცაა ქართული ენა ციფრულ ეპოქაში. ასევე, დასაბუთებულად წარმოვაჩინეთ იმასაც, რომ კიდევ უფრო მაღალი საფეხურის ციფრული კვდომის საფრთხის ქვეშაა საქართველოს კიდევ ერთი სახელმწიფო ენა – აფხაზური ენა (იხილეთ [1] და {2} და, ასევე, AR/122/4-105/14-17 და <http://geobani.com/HTML/aboutUs.html> მისამართებზე განთავსებული მასალები).

მოხსენებისას მიმოვიხილავთ აგრეთვე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის ტექნოლოგიზების ცენტრში ფხაკადის ქართული ენის ლოგიკურ გრამატიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ ქართულ ინტელექტუალურ ვებ-კორპუსს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ჯერ მხოლოდ საცდელი ვერსიაა, უკვე არის:

1. ერთადერთი თვითგანვითარებადი (მასში ჩადგმული სახით ფუნქციონირებს მისი ავტომატურად განმავითარებელი ინსტრუმენტები) მრავალმოდალური (მასში ჩადგმული სახით ფუნქციონირებს ქართული ტიტირიებული სამეტყველო მონაცემების საცდელი კორპუსი და ამ ტიპის კორპუსის ამგები ინსტრუმენტები) ქართული კორპუსი, რომელიც ამავდროულად არის ქართული ენის ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო მეტად მხარდაჭერილი და ყველაზე უფრო მოცულობითი კორპუსი. ხაზგასასმელია, რომ ქართული უნივერსალური ჭკვიანი კორპუსის ამ საცდელი ვერსიის აგებით, რომელიც 2017 წლის 8 ოქტომბრის მონაცემებით უკვე შეიცავს 260150828 ქართულ სიტყვას, რომელთაგან 4102270 განსხვავებულია, ქართული ენა ციფრული კვდომის საფრთხისგან ბევრად უფრო დაცული გახდა, ვიდრე ის მანამდე იყო.

2. ერთადერთი ქართული მრავალენოვანი კორპუსი, რომელშიც პარალელურ ქართულ-ინგლისურ და ქართულ-რუსულ საცდელ კორპუსებთან ერთად საცდელი სახით უკვე ფუნქციონირებს ერთადერთი აფხაზური კორპუსი. – ხაზგასასმელია, რომ აფხაზური ენის ამ საცდელი კორპუსის აგებით, რომელიც 2017 წლის 8 ოქტომბრის მონაცემებით უკვე შეიცავს 260150828 აფხაზურ სიტყვას, რომელთაგან 4102270 განსხვავებულია, აფხაზური

ენის ციფრული კვდომის საფრთხისგან დაცვის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

ლიტერატურა:

1. კონსტანტინეფხაკაძე, მერაბ ჩიქვინიძე, გიორგი ჩიჩუა, დავით კურცხალია, მივხედოთ ქართულ ენას!, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 149-158, (N1), 2016.
2. კონსტანტინე ფხაკაძე, მერაბ ჩიქვინიძე, გიორგი ჩიჩუა, დავით კურცხალია, ინეზა ბერიაშვილი, შალვა მალიძე, ქართული ინტელექტუალური ვებ-კორპუსი: მიზნები, მეთოდები, რეკომენდაციები, გამოიცა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის „ქართული ენა და ლოგიკა“ დამატების სახით, 4-320, 2017.

სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები

კომუნიკაცია და მომსახურება – ეფექტიანი და პასუხისმგებლური ადგილობრივი ხელისუფლების შექმნის საფუძველი

დავით შამოვი

*საჯარო მმართველობის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პერსონალი, ელექტრონული სერვისები, მოქალაქეთა ჩართულობა.

მოსახლეობის პრობლემები

თბილისის მოსახლეობის დიდ ნაწილს აწუხებს სოციალური პრობლემები, რისთვისაც ხშირად მიმართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და ითხოვენ მედიკამენტების დაფინანსებას, ერთჯერად სოციალურ დახმარებებს, სარიტუალო მომსახურების დაფინანსებას, ასევე, მოქალაქეებს აწუხებთ კომუნალური საკითხები, მოძველებული ინფრასტრუქტურა, ხშირია მიმართვა დანგრეული და ავარიული სახლების აღდგენა-რეაბილიტაციის, ალტერნატიული საცხოვრებელი ფართისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების თაობაზე.

ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პერსონალი

თვითმმართველობის ორგანოში დასაქმებულ საჯარო მოხელეს ან ამ სისტემაში დასაქმების მსურველ კანდიდატს მოეთხოვება ის, რომ მინიმალური საკანონმდებლო ცოდნა ჰქონდეს, ჰქონდეს მოტივაცია და იყოს შედეგზე ორიენტირებული.

პირდაპირი კომუნიკაცია მოსახლეობასთან – ადამიანს უნდა შეეძლოს მოქალაქეებთან ურთიერთობა პირველ რიგში, გარდა ამისა, ის აუცილებელი კვალიფიკაცია, რომელიც მას დასჭირდება იმ საქმის ცოდნაში, რა პოზიციაზეც იმყოფება, ეს საქმე მას

უნდა აინტერესებდეს, ხოლო პესრპექტივაში კადრი უნდა იყოს მზარდი აუცილებლად.

პრაქტიკაში სასურველია და კარგია თუკი მათ ექნებათ საზოგადოებასთან ურთიერთობის შესაძლებლობის უნარი, მიუხედავად იმისა, ვერბალურად აქვთ თუ არა კონტაქტი საჯარო მოხელეებს მოქალაქეებთან, ისინი მაინც პირდაპირი მნიშვნელობით აკეთებენ იმ საქმეს, რომელიც ადამიანებს ეხებათ, მათ ბედთან არის დაკავშირებული.

ელექტრონული სერვისები

მოქალაქეებს ვერ სთავაზობენ მუნიციპალური სერვისების მიღებას ელექტრონული არხებით. იყენებენ სოციალურ ქსელს, ე.წ. “ფეისბუქის” გვერდს, სადაც თავსდება გამგეობების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები, რომელიც მოსახლეობისათვის მხოლოდ ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები აქტიურად ცდილობენ ამ გზით ურთიერთობა დაამყარონ გამგებლებთან, მიმართონ შეკითხვებით, თხოვნებით და რიგ შემთხვევაში პრეტენზიებითაც კი.

ეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის პრობლემა არაა და ეს უფრო კომპლექსური პრობლემაა, თუ რამდენად არის თვითონ საზოგადოება მზად იმისთვის, რომ მათ სერვისები ასეთი ფორმით მიიღონ, რომ ამას სჭირდება კარგი საინფორმაციო კამპანია, რადგან სამწუხაროდ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ხელი ჯერ კიდევ არ მიუწვდება ინტერნეტზე, რომ ტექნოლოგიური რევოლუცია ბევრისთვის ჯერ კიდევ მომხდარი არ არის.

მოქალაქეთა ჩართულობა

მოქალაქეთა აქტიურობა არის ის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლითაც გამგეობებში უზრუნველყოფილი იქნება ეფექტური კომუნიკაციისა და მომსახურების მაღალი ხარისხი, თუმცა, მოქალაქეთა აქტიურობის ნახალისება უნდა ხდებოდეს იმით, რომ ამ ინტერესების მაღალი მიმღეობა იყოს თვითმმართველობების მხრიდანაც, საჯარო მოხელეებისაგან.

აუცილებელია თვითონ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, ამ მიზნით გარკვეული საინფორმაციო კამპანიის ჩატარება (მაგალითად, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში), ვინაიდან ბევრისთვის ჯერ კიდევ უცხოა თვითმმართველობის არსში ჩან-

ვდომა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, არ იციან რა პრინციპებს ეფუძნება თვითმმართველობა. ამ კუთხით ცნობიერება საკმაოდ დაბალია.

სერვისების მიწოდება ეს არის ერთი ფუნქცია თვითმმართველობის და არა მთავარი ფუნქცია. მთავარი ფუნქცია არის ის, რომ თვითმმართველობაში ხდება თანამონაწილეობა, ხდება ინიციატივა, ხდება ჩართულობა და თვითმმართველობა მუშაობს არა მხოლოდ სამართლებრივი რეგულირებებით, არამედ სოციალური ჩართულობით და სოციალური ინსტიტუტების გაძლიერების გზით.

გამონვევები

ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს გააზრება ადგილობრივი თვითმმართველობის, რომ ის უნდა იყოს მეტად გახსნილი, მოქალაქეებზე ორიენტირებული, აუცილებელია გააჩნდეთ მეტი ფინანსური დამოუკიდებლობა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თვითონ თვითმმართველობის ფუნქციის გააზრება, რას აკეთებენ, სად აკეთებენ, როგორ აკეთებენ, რა მექანიზმებს იყენებენ, როგორ ზრუნავენ მოქალაქეებზე.

აუცილებელია გადანყვეტილების მიმღები პირები აღჭურვილები იყვნენ ცოდნით, უნარებით და შესაბამისი მიდგომებით საქმის მიმართ, იყვნენ გახსნილები და აქტიურები საზოგადოებასთან და ინტერესთა ჯგუფებთან ურთიერთობისას.

ადამიანისული კაპიტალის მნიშვნელობის გავლენა ეკონომიკური ზრდის პროცესზე

მედეა ხარაიშვილი

დოქტორანტი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ადამიანისული კაპიტალი, ეკონომიკური ზრდა, ცხოვრების დონე, ფიზიკური კაპიტალი, მშპ

ადამიანისული კაპიტალის სწორი დაგეგმვა აუცილებელია ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებისათვის. იგი საჭიროა ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის, რაც გულისხმობს მოსახლეობისთვის შესაბამისი განათლების მიცემას, მათ გადამზადებას ტექნოლოგიების, საინჟინრო, მენეჯმენტის, მედიცინის და ყველა პრიორიტეტულ დარგში.

ადამიანისული კაპიტალი ეკონომიკური განვითარების ინტენსიური სანარმოო ფაქტორია, საზოგადოების და ოჯახის განვითარებაა, რომელიც შრომითი რესურსების განათლებულ ნაწილს მოიცავს, ცოდნაა, ინტელექტუალური და მმართველობითი შრომის ინსტრუმენტია, საცხოვრებელი და შრომითი საქმიანობის გარემოა, რომელიც ადამიანისული კაპიტალის, როგორც განვითარების მწარმოებლური ფაქტორის, ეფექტიან და რაციონალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური კაპიტალის დაგროვება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცესში, დროთა განმავლობაში ცხადი ხდება, რომ მატერიალური კაპიტალის ზრდა დამოკიდებულია ადამიანისული კაპიტალის ფორმირებაზე.

ადამიანისულ კაპიტალში ადეკვატური ინვესტიციების არარსებობა, ფიზიკური კაპიტალის გამოყენების დაბალ ტემპს განაპირობებს, რაც ინვესტ განვითარების ჩამორჩენას. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას ახასიათებს ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია ადამიანისულ კაპიტალში ინვესტიციების არარსებობით.

ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე გულისხმობს ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, რაც თავის თავში მოიცავს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სოციალური დოვლათით დაკმაყოფილებას და შესაბამისი საცხოვრებელი პირობების არსებობას. ცხოვრების დონე მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათგან მნიშვნელოვანია: მოსახლეობის შემოსავლები, განეული დანახარჯები, ქვეყანაში არსებული უთანასწორობა, მშპ-ს ცვალებადობა, ინფლაციის ტემპი.

მოსახლების ცხოვრების დონეზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: მოსახლეობის შემოსავლები, განეული დანახარჯები, ქვეყანაში არსებული უთანასწორობა, მშპ-ს ცვალებადობა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი ნარმოდგენილია ოთხი ძირითადი მიმართულებით: კეთილდღეობა, ნორმალური დონე, სიღარიბე და სიღატაკე.

კონკრეტული მონაცემების გაუმჯობესება შესაძლებელია ეკონომიკური ზრდის მიღწევით. თუმცა ეკონომიკური ზრდა არ არის პრობლემის ავტომატური გადაჭრა, თუ იგი ქვეყნის ყველა ფენას შორის თანაბრად არ გადანაწილდება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით ეკონომიკური ზრდის სამი კრიტიკული პრობლემა გამოიკვეთა, ესენია: კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიანისეული კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეკონომიკური ზრდა მიღწევადია ადამიანისეული კაპიტალის განვითარების გზით. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან მისი სრულყოფილი შესრულებისთვის აუცილებელია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. ხოლო საბოლოო მიზანი უნდა

ემსახურებოდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას, მაღალი განათლების დონის მიღწევას და კერძო სექტორის განვითარების შედეგად სამუშაო ადგილების გაზრდას. ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის აუცილებელია სიღარიბის კოეფიციენტების უკეთესი შედეგების მიღწევა, რაც ადამიანისეული კაპიტალის დონის ამჟღავნებით არის მიღწევადი. ამიტომ, სოციალურ ხელშეწყობასთან ერთად, აუცილებელია საქართველოსთვის პრიორიტეტული დარგების განვითარება და მის ბაზაზე შესაბამისი განათლების უზრუნველყოფა.

ინჟინერია და ტექნოლოგიები

ბაქტერიული კულტურების ტექნოლოგიური დამუშავება „ყინვითი შრობით“

ლევან ნეფარიძე

რენატი მერკუზოვი

სალომე გიგაშვილი

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მიკრობიოლოგიური კულტურების გამოყენება ფართოდ აპრობირებული მეთოდია სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიაში. არსებობს მრავალი სახის დუღილი, რომელთა წარმართვაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ ბაქტერიებს უკავიათ. დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება მიკრობიოლოგიური კულტურების ყინვით გაშრობის მეთოდი – ლიოფილიზაცია, რომლის საშუალებითაც ხდება ბაქტერიების დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებების შენარჩუნება და საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვმართოთ ტექნოლოგიური პროცესი.

საქართველოში ფერმენტირებული რძის პროდუქტები უმეტესად ლიოფირიზირებული მიკრობიოლოგიური მიკრობიოლოგიური კულტურით მზადდება, რომელიც იმპორტირებულია. დღესდღეობით საქართველოში არ იწარმოება ლიოფილიზირებული სახით რძის მაფერმენტირებელი მიკროფლორა, როგორცაა ყინვით გამომშრალი *Streptococcus* და *Lactobacillus* შტამები. კვლევის მიზანია, შეგვესწავლა და გამოგვეცადა მანვნის ბაქტერიული მიკროფლორის ლიოფილიზაციის მეთოდი, რომლის შედეგადაც ბაქტერიული შტამების სიცოცხლისუნარიანობა და ბიოლოგიური აქტივობა მაქსიმალური იქნება

კვლევის ფარგლებში *Streptococcus* და *Lactobacillus* ბაქტერიების სუფთა კულტურების ლიოფილიზაციის მიზნით გამოიცადა ორი ძირითადი ბუფერი – 10 % სუკროზა და 10% Skim Milk. ასევე გამოვცადეთ ყინვით შრობის სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრები, როგორცაა დრო, ვაკუუმის წნევა და ტემპერატურა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 10% Skim Milk ბუფერის და ყინვით შრობის პარამეტრებით 23 საათი გაყინვა, ტემპერატურა

-47°C და ვაკუუმის 20 Pa, Streptococcus და lactobacillus შტამების ყველაზე მაღალ სიცოცხლისუნარიანობასა და ბიოლოგიურ აქტივობას იძლევა საბოლოო პროდუქტში.

აგრარული მეცნიერებები

ტრიტიკალე (*×Triticosecale Wittm & A. Camus*) – მომავლის პური

თინათინ ეპიტაშვილი

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ტრიტიკალე, პური, მახობელი, სელი, ტექნოლოგია

მარცვლეულის წარმოება, მათ შორის მეცხოველობისთვის აუცილებელი საკვები ბაზის შექმნა ჩვენი ქვეყნის აგრარული მეურნეობის განვითარებისათვის პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ აქტუალური ამოცანის გადასაწყვეტად შეიქმნა ხორბალ-ჭვავის ჰიბრიდი – ტრიტიკალე (*×Triticosecale Wittm & A. Camus*), სრულიად ახალი ბოტანიკური გვარი, რომელიც მარცვლოვანი პურეულის პროდუქტიულობის და ხარისხის ამაღლების საფუძველია. მასში გაერთიანებულია ორი კულტურის დადებითი ნიშანთვისებები: მარცვალში ცილებისა და ლიზინის (ამინომჟავა) მაღალი შემცველობა, იმუნიტეტი, მაღალმოსავლიანობა, მსხვილი მარცვალი, მწირ ნიადაგებთან შეგუების უნარი და სხვ. ტრიტიკალეს გამოყენება პურცხოვაში დააბალანსებს ხორბლის დეფიციტს ქვეყანაში. სწორედ ამიტომაც აქტუალური და საინტერესო მაღალი კვებითი ღირებულების პროდუქტის მისაღებად ტრიტიკალესა და ხორბლის ფქვილის ნარევის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენა. ეთნობოტანიკური უნარ-ჩვევების მოძიებისას კი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში აქტუალურია პურის ხარისხისა და გემოვნების გაუმჯობესება ძვირფასი დიეტური დანამატებით, მათ შორის – სელი (*Linum Usitatissimum L*) და მახობელი (*Cephalaria Syriaca L*). სელის თესლი შეიცავს მაღალი ბიოლოგიური აქტივობის ცილას და თავისი შემადგენლობით ადამიანის ორგანიზმის იდეალური ცილის ტოლფასია, ხოლო მახობელის დამატება პურს ანიჭებს სასიამოვნო სურნე-

ლსა და სირბილეს, ზრდის შენახვის ხანგრძლივობას. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო ჩვენი კვლევის მიმართულებას.

ჩვენი კვლევის ობიექტია – ტრიტიკალე (*×Triticosecale Wittm & A. Camus*), რომელიც უმდიდრესი გენოფონდია, გამოიყენება როგორც ხორბლის სელექციაში ახალი ჯიშების შექმნისას, ასევე გენეტიკის რიგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში.

ჩვენი მიზანია ტრიტიკალეს შერჩეული ფორმების და ხორბლის ფქვილის ნარევის ოპტიმალური პროპორციების დადგენა მაღალი კვებითი ღირებულების მქონე საკვები პროდუქტის – პურის მისაღებად, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად გამოყენებულია სელი და მახობელი.

აღნიშნული პრიორიტეტი მნიშვნელოვანი და ისტორიულად ტრადიციულია ქვეყნისათვის, მით უმეტეს, როცა აქტუალურია ნატურალური საკვები და ბიოდანამატები როგორიცაა: სელი და მახობელი.

Humanity

Fight for Rebuilding the Autocephaly of Orthodox Apostolic Church of Georgia at the Beginning of the XX Century

Ana Dolidze

MA in History

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

In 1783, there was made the Treaty of Georgievsk between the king Erekle II and Emperor Ekaterine II, according to which the Kingdom of Kartl-Kakheti by its own gets under the protection of the common faith politically and economically strong country of Russia. As a result, the state independence of Georgia was annulled and after that the historical autocephaly as well.

In the period of exarchy, Georgian Public Figures permanently mentioned in their reports regarding the anti-Georgian activities, though everybody avoided talking about rebuilding the autocephaly as the politically discussing subject. For example, in 1894 archpriest Davit Ghambashidze printed the scientifically processed letter “Autocephaly of the Georgian Church” of the priest Kalistrate Tsintsadze in the magazine “Shepherd”. The mentioned letter wasn’t printed even half one, the exarch Vladimer called for priest Davit and threatened him: “In case the letter isn’t finished with the fact, that Church of Georgia had never been independent, I will close your magazine and make you evicted from Georgia as well”.

In 1905, the aforesaid work became the basis of instituting the case upon rebuilding the Autocephaly of Georgia.

At first, it seemed the agreement was made: at the sessions of Russian Synod held connected with the Autocephaly of Church of Georgia, the professor Sokolov grounded the fact, that Church of Georgia was really autocephalic on the basis of

Greek sources and the mentioned right must be brought back to it by all means, the rest members of the session agreed with him; the exarch Nikoloz who arrived in Tbilisi promised the population that he would rebuild the autocephaly; the brother of exarch accompanied his brother in Georgia thought, that the autocephaly must be brought back to the Church of Georgia and as a result of which the disgraceful dissidence to be avoided for Russia; but he realized the fact, that rebuilding the autocephaly would cause the rebuilding the state independence as well. That is why, the mentioned issue, as the one including the separate danger, got unsolved.

The head of Holy Synod Aleks Obolensk strongly opposed the rebuilding of autocephaly, he tried to give the right for Georgian people only having the Georgian exarchs and he was proving, that it was uncomfortable having two autocephaly in one kingdom, the church must be only one, as we have it in our “Belief”.

The members of Russian Synod realized, that they could not stop the striving of Georgians for rebuilding the autocephaly and they made the decision as follows: the Georgian patriarch must be in Svetitskhoveli and the Russian metropolitan – in Tbilisi. But Georgians did not change their point of view connected with the mentioned one, the mentioned decision was unacceptable for them, in February-March 1917 they took the advantage of political changes of Russia and on 25th (12th) March they declared the rebuilding of autocephaly of Church of Georgia. Russian Synod met this fact negatively- there was started sending the opposite epistles and propagation in the religious society of Russians. As a result, Georgian were forced to fight for maintaining the already rebuilt autocephaly, as the clerical and secular authority of Russian still tried to abolish the mentioned one. This long-term fight was finished on 4th March 1990, as a result of hard work of Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II, the World Patriarchate of Constantinople

acknowledged the historical autocephaly of Orthodox Church of Georgia.

The city of Tiflis in the XIX century

Beka Gachechiladze

Doctoral Student

*Saint Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia*

Tiflis and the Georgian governance system in general have been changed several times, under Russia's rule, which included, both absolute and decentralized governance. From 1801 to 1841, the authorities were strictly centralized and Tiflis was ruled by the police chief, who was the direct executive of the imperial authorities. Between 1841 and 1864, the city was ruled by the council, but has limited rights that led to the vertical governance system.

Changes in Russia began with the reign of Emperor Alexander II, in particular cancelling the slavery (1864), followed by urban and community self-governing development. On August 11, in 1866 the introduced by the Statute, which chose the eight executive members who were responsible for ruling the city.

By the changes of 16 June 1870, self-government representation was divided into three social-economic levels: the first one was the strong business-industrialists, the second included the middle-class citizens, and the third were the small business owners.

The Georgian intelligentsia met the reform positively and considered as the beginning of more freedom that would bring liberty to the citizens. In their letters, Georgian intelligentsia discussed the self-governing state current model and proposed development strategies, where they underlined the freedom

issues and decentralized decision-making by the self-government.

In Russian Empire at the end of XIX and XX, very important reforms were implemented for both sides, the society and the empire, but here should be noted, that there was no real freedom in those reforms and the imperial Russia was terrified on giving freedom to its'citizens.

This system of governance was finished Russian Empire's collapse. The revolution of 1917 February-March ended the monarchy and brought to power a temporary social-democrat government that aimed to transform the empire and grant more freedom for citizens.

After the Bolshevik revolt, the Caucasus region separated from the rest of Russia and on May 26, 1918 Georgia declared independency and began to build the country on a democratic basis that was expressed by the idea of decentralization of power.

The Issue of National and Religious Identity in Achara at the Threshold of XIX-XX Centuries

Goderdzi Bolkvadze

BA in Historical and Political Sciences

Ilia State University

South Caucasus as a crossroad of civilizations and cultures has often been the place of clash of imperial interests. One stage of Iran-Ottoman confrontation in South Caucasus ended by truce in 1555 according to which they divided the South Caucasus in two. The ottoman Empire did its best to hold firm control over historical territory of Georgia.

According to its geography Achara is a complex region, thus the conquerors had difficulties to fully control it; but in the last count the Ottomans managed it. The sultanate established up-

per and lower sanjacates (administrative-territorial unit) and subordinated them to Childirvilayet. At first the conquered regions were ruled by Ottomans but later when they gained foothold and won over part of the local upper layers (nobility), Georgian pro-Ottoman pasha-princes came to power. The Ottomans brought their national customs to Achara, legislation, law, spread Islamic religion. By using force and ideology the conquerors managed to shatter national identity considerably in the conquered region. At the first stage of Islamization, despite its spread, the population displayed special respect to the religion of their ancestors' faith and places of prayer and later, especially in XIX cent. It was replaced by unconscious fear and alienation of the past. Islam, which earlier was of a nominal character, acquired the factual one. Along with the strengthening of the Islamic elements, starts the powerful movement for the liberation from the Ottoman Empire. This is the period when Selim Beg Khimshiashvili comes on the stage. His struggle was the first serious step towards the attempt of liberation of Achara. Many factors hindered the anti-Islamic forces to distance themselves from the Ottomans: decisive was the religious factor. To turn their back, this time to the country of common faith, turned out to be rather difficult. Almost 300 year-reign of Ottomans in Georgia, provoked the division of the country according to religious. Such notions as "Islamic Georgia" and "Christian Georgia" took their roots in the mentality of Georgians. Tight interconnection of such notions as nationalism and religious identity has always been the integrating factor in the history of Georgia, but under the reality we had in Achara at the end of XIX and the beginning of XX centuries, it turned out to hinder the consolidation process.

In the second half of XX century, the process of integrating Achara within the composition of Russia and thus to Georgia, which factually meant the restoration of territorial integrity, became possible. After the victory of Russia over Turkey, from

1878 Achara, the composition of Russian Empire entered under the name of “Batumi Okrug”. Colonization of Achara and gaining more benefits, due to geo-politically strategic position of the annexed territories, was in Russia’s interests. On the other hand, settlement of the borderline territories by not opponent but loyal population to the Ottoman Empire was in the interests of the latter. After 1877-1878 Russian-Ottoman war, started massive repatriation of Islamic population to the Ottoman Empire, which was accomplished with the brutal actions of Russian empire and pro-Islamic propaganda.

“Tergdalelulebi” were the ones who paid special attention to Achara and its problems. Ilia Tchavchavadze, together with his associates did almost everything to introduce education and strengthen the national self-esteem. Iakob Gogebashvili tried to match his book “DedaEna” (mother language) written in 1876, with the reality existing in Achara. Opening of a school in Batumi, by the “Organization of Spreading Literacy in Georgia”, where generations were brought up was an important event. The efforts of national-liberation movement gained the unprecedented results; thanks to their selfless work consolidation of the divided-in-two country started around the idea of unity of Georgia.

Memed Abashidze, a person who together with his associates defended the national independence and returned Achara to its Motherland, holds one of the most important positions in the history of Georgia.

The First World War turned out to be very hard for Georgia – new Russian-Ottoman opposition and renewed demarcation of the south-western parts of Georgia. Overthrowing of the Russian Empire, establishment of the interim government, coming to power of Bolsheviks had great influence on small nations being in the composition of the empire Transcaucasian Federal Republic was set up in the South Caucasus, which soon disintegrated. These processes were followed by

founding of Democratic Republic in Georgia, which in its turn had great influence on the strengthening of the national consciousness in Achara. On the other hand, the religious factor in “Muslim Georgia” strengthened the fear of the latter about the condition of their rights in “Christian Georgia”. After the declaration of independence of Georgia, the talks about creation of Achara Autonomous Republic became more active. Representative of “Islamic Georgia”, taking into consideration the existing difficult reality, asked for the wide autonomy, which actually meant the creation of a government in the government. Democratic government of Georgia was well aware of these difficult and specific conditions, which were even more deteriorated by the pro-Islamic factors; that is why they undertook several adequate steps and made concessions. Coming out of existing geo-political problem, the democratic government failed to solve Achara problem. The demand of giving wide autonomy was mainly preconditioned by the outer influence and the religious, cultural and social reality, which was in Achara at the beginning of XX century. Achara Autonomous Republic was set up in 1921, after the establishment of the Soviet state.

Despite great challenges, interests of the external forces, almost 300-year reign of the Ottomans or inner uncontrolled processes, Achara population managed to mark boundaries between nationality and religious identity and to consolidate around the national idea and the restoration of territorial integrity. The process of integration of Achara with its motherland became easier and it can be said that Georgian language had its primary role in it. Besides, the means of communication is the main mechanism of thinking, the artery, which connects with the roots of Georgia and consolidates it. Georgian consciousness, its integrity is in great extent determined by the linguistic factor and it is somehow perceived as the symbol of national unity and integrity.

Hunting in Medieval Georgia

Nino Kakalashvili
Undergraduate student
Tbilisi State University

Key words: Hunting, military training, homage

The hunting was very important in the medieval Georgia. Our goal is to consider the hunting process in the medieval Georgia, what kind of hunting existed and the characteristics that is integral part of the hunting. Special attention will be paid to the importance of hunting.

The hunting was not only the means of entertainment and source of food supply. It was, mainly, military training. Georgia has always struggled against various invaders. The main military force was a feudal army, although there were other types of troops. The main duty of feudals was to provide a military service for their suzerain and also to participate in hunting. This fact is confirmed by both, the historical sources and the charters issued by the Georgian kings. King rarely released someone from the duty of hunting.

Hunting can be judged from social point of view. The hunting was a privilege of feudals, peasants did not have a right to hunt. This is characteristic for both Georgia and the other European countries. Hunting indicated the social distinction of the population, which further increases the interest in studying the issue.

Hunting was used to develop military skills. Hunting was the way to present the military skills to the wide audience by knights. Hunting sometimes resembled the military campaigns and during the royal hunting feudals were assembled just as during the war. Such hunting could last for a few months. The importance of hunting is also indicated by the fact that a special officer, Monadiretukhutsesi, managed the whole process. The other officials were under his disposal.

Hunting was also organized for entertainment and often it was just a way to get food. This is confirmed by Shota Rustaveli in his poem “The Knight in the Panther’s Skin.”

The hunting process is described not only in historical sources, but in the fictions as well. Consequently, we would like to describe the details of the hunt and the different types of hunting on the basis of different historical sources. The hunting was the integral part of the life of the Middle Ages and it attracts the great deal of interest from military and social perspective.

The Archive as an Institution of Active Memory (Based on the example of MIA Archive)

Vladimer Luarsabishvili

Ph. D. in History

MIA Archive of Georgia/New Vision University

Key words: Archive, national memory, history, culture, interpretation

This paper discusses the function of the archive as *an institution of active memory*. An archive, as a historically old institution, has various functions and is a part of the cultural and historical heritage of any country and an indispensable source of historical materials. The documents preserved in such a repository can reflect a story that largely depends on the construction and interpretation of the historian’s capacity imagination. If we read archival documents historically, as well as collectively, psychoanalytically and subjectively, it can challenge the established canonical views on certain historical topics, and therefore can affect understandings of antique, medieval and modern history in a new way. Purpose of this research is to explore the role of the archive in reading and interpretation of the history.

The archive, as an institute of active memory, is not only a repository of the documents, but also an effective institute for the reconstruction, interpretation and understanding of history. The significance of both primary and secondary archival documents can significantly contribute to the creation of a new historical reality, which itself is a necessary condition of the national memory.

Archival research projects are an effective means of international cooperation, encouraging different cultures to come together. The archival staff and historians of various countries create a modern scientific discourse, which presents opportunities for diverse interpretations in different cultural, philosophical and historical contexts.

The interpretation of a “new” historical reality that is produced based on historical documents is a necessary precondition for the nation’s identity and values in a modern multi-functional and tolerant environment. In the end, it is important for a country’s democratic development, including the scholarly and political pluralism of society. Finally, archives are a very important environment for the future development not only for the particular country, but also for all of mankind.

The Role and Importance of “The Georgian Chronicles” in the Past and Modern Georgian Society

Revaz Tsintsadze

Undergraduate student, 3rd year

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The role of The “Georgian Chronicles” in Georgian historiography is immeasurable. Its function and characteristics have always attracted interest in high society. Particularly interested were the kings, who often took political and cultural decisions with regard to the sources of The Georgian

Chronicles. What is so important in this collection of Georgian Historical Works? What was and is its function for the modern Georgian society? To answer the question, we can recall one of the episodes of Leonti Mroveli's historical work, "History of the Kings and Patriarchs of the Georgians", which tells about the relationship between Pharnavaz and Kuji. According to him, the political leader of the Western Georgia, Kuji, recognizes the advantages of Pharnavaz and Kartli. He refers to Pharnavaz as to Lord and calls himself a slave. ("You are son of the heads of Kartli and you should reign over me... you are our Lord, and I shall be your servant") Leonti Mroveli writes this in the eleventh century, while the process of unification of Georgia is in its active phase. In fact, the unification of the Western and Eastern Georgian Kingdoms was legitimized by the above-mentioned section. For centuries, historical reality has played a significant role and that is exactly what The Georgian Chronicles portrays.

